ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ხელოვნება

1977 8

მცირე ნაწილი იმ მთავარი საკითხებიდან, რომელთა მოგვარება მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოების ჩარევით შეიძლება განხორციელდეს:

1. მთლიანად ძველი თბილისის რეკონსტრუქციის საპროექტო წინადადების დამუშავება, სადაც მოცემული იქნება ნაკრძალის მომავალი ფუნქცია, შინაარსი, ე. წ. „ლეგენდა". ეს სამუშაო მოითხოვს ავტორებისადმი კომპლექსური მიცემულობის გაცემას, სადაც გაერთიანდება სხვადასხვა უწყებების ინტერესები და შესაძლებლობები. ასეთი პროექტის გარეშე თბილისის ისტორიული უბნების მცირე ნაწილების და ცალკეული შენობების რეგენერაცია შემთხვევით ხასიათს ატარებს და არ მოგვიტანს სასურველ შედეგს; — ქალაქის ფეოდალური ნაწილის სიმჭიდროვის შემცირება, იმ მინაშენების თუ დანაშენების ლიკვიდაციის ხარჯზე, რომელთაც არ გააჩნიათ ფიზიკური და არქიტექტურულ-ისტორიული ღირებულება და ვნებენ ძველი ქალაქის იერს; — თანდათანობითი ლიკვიდაცია (გამოყვანა) ნაკრძალებიდან იმ სამრეწველო დაწესებულებისა და საწყობებისა, რომლებიც თავისი ხასიათით არ შეეფერებიან ქალაქის ამ ნაწილს და მომსახურეობისათვის ტრანსპორტის დიდ რაოდენობას მოითხოვს;

2. ძველი უბნებისათვის საგანგებო არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექციის შექმნა, რომელიც კონტროლს გაუწევს ნაკრძალის რეჟიმის დაცვას;

3. ერთიანი საბინაო მმართველობის შექმნა დაცვით ზონაში. ამ შემთხვევაში ყველა შენობა (მონუმენტური ძეგლების გარდა) ამ ერთადერთ ორგანიზაციას გადაეცემოდა ბალანსზე;

4. დაცვითი ზონის ტერიტორიისათვის ერთიანი სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაციის შექმნა. ამას მოითხოვს ქალაქის ამ ნაწილში საწარმოო სამუშაოების სპეციფიკა;

5. სპეციალური წარმოების დაარსება, რომელიც სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებს უზრუნველყოფს ძველი ქალაქისათვის საჭირო ნაწარმით (აგური, კრამიტი, რიკულები, საკეტები და სხვა.);

6. სათანადო დებულებისა და ნორმატივების შემუშავება, რომლებიც განსაზღვრულ ფარგლებში ჩააყენებენ ექსპლოატაციისა და რემონტის თვალსაზრისით იმ დაწესებულებებს, რომლებიც განლაგებულნი არიან ძველ ქალაქში;

7. გამოძებნა გზებისა, რათა ტურიზმით მოპოვებული შემოსავლის განსაზღვრული ნაწილი ძველი ქალაქის საჭიროებას მოხმარდეს.

აქ ნაწილია იმ აურაცხელი პრობლემისა, რომელთა გადაწყვეტა საჭიროა, თუკი ჩვენ ძველი ქალაქის რეკონსტრუქციას საქმიანად, არა ფორმალურად მოვეკიდეთ. ამ ამოცანების მოგვარება კი შორს ცდება საპროექტო ორგანიზაციის შესაძლებლობებს და ქალაქის თავკაცების საქმიანობის სფეროში ძევს.

* * *

როდესაც წერილი მზადდებოდა, რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა სპეციალური კომისია ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმეში არსებული მდგომარეობის შესასწავლად და პრაქტიკული ღონისძიებების შესამუშავებლად. უეჭველია, რომ მიღებული ღონისძიებანი ბევრად შეუწყობს ხელს ძველი თბილისის რეკონსტრუქცია-რეგენერაციის საქმეს.

# ისააკ ბაბელის

ისააკ ბაბელის (1894-1939) შემოქმედება საბჭოთა ლიტერატურის კლასიკას წარმოადგენს; არსებობს მისი წიგნების ორმოცამდე ცალკე გამოცემა („ცხენოსანთა არმია" ექვსი წლის განმავლობაში რვაჯერ გამოიცა).

ბაბელი ოდესაში დაიბადა, ხელმოცარული ებრაელი ვაჭრის ოჯახში. სკოლაში კარგად ვერ სწავლობდა, მაგრამ თხუთმეტი წლისამ უცებ ღრმა სულიერი მეტამორფოზა განიცადა: წიგნებს ჩაუჯდა, სამი ენა შეისწავლა და თავადაც დაიწყო წერა ფრანგულად. 1915 წლიდან ბაბელი — უსამსახურო, უკაპეიკო, უპასპორტო — პეტერბურგშია და რედაქციებში ამაოდ დაძრწის — ყველა ურჩევს წერას თავი დაანებოს და დახლში ჩადგეს. წლისთავზე ხდება სასწაული: გორკი უბეჭდავს ორ მოთხრობას (მათი გამოქვეყნებისათვის ბაბელი სასამართლოში მისცეს — ბრალად დასდეს პორნოგრაფია და არსებული

ისააკ ბაბელი

# მარია

## პიესა რვა სურათად

### მოქმედი პირნი

ნიკოლაი ვასილევიჩ მუკოვნინი.
ლუდმილა — მისი ქალიშვილი.
კატერინა ვიაჩესლავოვნა ფელზენი.
ისააკ მარკოვიჩ დიმშიცი.
სერგეი ილარიონოვიჩ გოლიცინი — ყოფილი თავადი.
ნეფედოვნა — მუკოვნინების გადია.
ევსტიგნეიჩი
ბიშონკოვი
ფილიპე
— ხეიბრები.
ვისკოვსკი — ყოფილი გვარდიის როტმისტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიესა „მარია“

წყობილების დამხობის მცდელობა), შემდგომ კი „ხალხში“ მიავლენს. შვიდი წლის განმავლობაში ბაბელმა უმრავი რამ ნახა და განიცადა: იყო რუმინეთის ფრონტზე, იბრძოდა ბუდიონის ცხენოსანთა არმიაში, მსახურობდა „ნარკომპროსში“, ოდესის გუბკომში; რეპორტიორობდა პეტერბურგსა და თბილისში.

1924 წლიდან იწყება ისააკ ბაბელის ინტენსიური ლიტერატურული მოღვაწეობა — გამოდის მისი გახმაურებული „ცხენოსანთა არმია“ და „ოდესური მოთხრობები“. ბაბელის თხზულებანი მაშინვე ითარგმნა ძირითად ევროპულ ენებზე (გერმანულად, ფრანგულად, ინგლისურად. ამჟამად მისი წიგნები ევროპის გარეთაც — ამერიკაში, კანადაში არის გამოცემული).

ოცდაათიან წლებში ბაბელი დრამატურგიამ გაიტაცა. წერდა კიდეც პირად ბარათში, პროზით წერა აღარ მინდა, დრამატული ფორმისკენ მიმიწევს გულიო. ამ ჟანრში ბაბელის ბოლო ნამუშევარია პიესა „მარია“, რომელიც პირველად 1935 წელს დაიბეჭდა ჟურნალში „თეატრი და დრამატურგია“ და იმავე წელს გამოიცა ცალკე წიგნადაც.

ბაბელს ჩვევად ჰქონდა, — გამოქვეყნებამდე პიესას მკითხველზე სცდიდა, საჯაროდ კითხულობდა. ამგვარი „დაჭაშნიკებისთანავე“, 1934 წელს, „მარია“ დასადგმელად მოამზადა ვახტანგოვის თეატრმა... 1964 წელს პიესა „მარია“ დაიდგა იტალიაში, ფლორენციის თეატრ „პიკოლოში“ (რეჟისორი ბ. მენეგატი, მხატვარი ს. ფალენი, მუსიკა დ. შოსტაკოვიჩისა). პრესამ („პაეზე სერა“, „უნიტა“) აღტაცებული რეცენზიები მიუძღვნა სპექტაკლს. 1965 წ. „მარია“ ჩეხოსლოვაკიაში, ოლომოუცკის თეატრის სცენაზე დადგეს. სულ ახლახან იგი დასადგმელად მოამზადა ერმოლოვას სახელობის დრამატულმა თეატრმა.

წინამდებარე თარგმანი „მარიას“ ქართულად ამეტყველების პირველი ცდაა. იგი ითარგმნა 1966 წელს გამოცემული ისააკ ბაბელის „რჩეულიდან“.

მთარგმნელი

კრავჩენკო.
მადამ დორა.
ზედამხედველი.
კალმიკოვა — დამლაგებელი ნევის პროსპექტის 86-ის სასტუმროში.
აგაშა — მეეზოვე.
ანდრეი
კუზმა
— იატაკის მწმენდავები.
სუშკინი.
საფონოვი — მუშა.
ელენა — მისი ცოლი.
ნიუშკა.
მილიციელი.
მთვრალი.
წითელარმიელი — ფრონტიდან.
მოქმედება მიმდინარეობს პეტროგრადში, რევოლუციის პირველ წლებში.

## პირველი სურათი

ნევის პროსპექტი. სასტუმრო. დიმშიცის ოთახი — სიბინძურე: ტომრების, ყუთების, ავეჯის ზედახორა. ორი ინვალიდი, ბიშონკოვი და ევსტიგნეიჩი მოზიდულ პროდუქტებს ალაგებენ. ევსტიგნეიჩს — სქელ, ქინქლილა კაცს — მუხლზემოთ აქვს ორთავე ფეხი მოკვეთილი, ბიშონკოვს ცარიელი სახელო ქინძისთავით მიუბნევია. ხეიბრებს მკერდზე მედლები და გიორგის ჯვრები უბრჭყვინავთ. დიმშიცი საანგარიშოს აჩხაკუნებს.

ევსტიგნეიჩი. მთელი გზა დაფერთხეს... ვირიცაზე ზანდბერგი იდგა, კაცური კაცი — სადღაა...

ბიშონკოვი. ვიჭყლიტებით, ისააკ მარკოვიჩ.

დიმშიცი. კოროლიოვი თუ დგას?

ევსტიგნეიჩი. გაგიგონია — აართქლეს... მთელი გზა დაფერთხეს, ყველგან ახლები დგანან...

ბიშონკოვი. უბედურად გართულდა სურსათის საქმე, ისააკ მარკოვიჩ, უბედურად. შეეცარები ერთ ყარაულს — ორ დღეში აართქლებენ... წაგართვან მაინც, — ვინ დაეძებს, იარაღს გიტურტურებენ თვალებში...

ევსტიგნეიჩი. გასაგიჟებელი ამბავი... ყოველდღე ახალ-ახალს იგონებენ... ამწინეებზე სადგურთან მივედით — ატყდა ერთი ბათქაბუთქი... რაშია საქმე? ვიფიქრეთ — მთავრობა გადადგა — თქვენც არ მომიკვდეთ! მოდა შემოიღეს ამისთანა: ჯერ გესვრიან, მერე გეკითხებიან — რა კაცი ხარო...

ბიშონკოვი. ჰო-ჰო-ჰო, რა გინდა სულო და გულო, რო დღეს მაგათ საქონელი დააყრევინეს... ბავშვებისთვისო, ამბობენ... სასახლეში კოლონია გაუხსნიათ, ბავშვებითაა სავსე...

ევსტიგნეიჩი. არიფო, მაგ ბავშვებს თვითონ ჰყავთ შენოდენა ბავშვები...

ბიშონკოვი. როგორ, მშიოდეს და ჩემთვის არ ავიღო?.. თუ მშია, ჩემთვისაც ავიღებ, — არა, მამა უცხონდათ...

დიმშიცი. ფილიპე სადღა... ეს მაწუხებს მე... რატომ მიატოვეთ კაცი?

ბიშონკოვი. ღმერთი, რჯული, ისააკ მარკოვიჩ, არ მიგვიტოვებია, თვითონ გაგვებნა ბრინჯივით...

ევსტიგნეჩი. თუ მიაყუდეს კედელთან...

ბიშონკოვი. მოკლედ, ნამეტანს გვავიწროვებენ, ისააკ მარკოვიჩ...

ევსტიგნეიჩი. ახლა ამ ჩვენი ფილიპეს ამბავიც გითხრათ... შეხედავ, მოდღლეზილი ვაჟკაცია, მაგრამ რად გინდა — შიგნით ფშუტეა... მივიძურწებით სადგურთან — ერთიც ვნახოთ, ატყდა სროლა, ხალხი ტირის, ეცემა... ვეუბნები: „ფილიპე, გავასწრებთ ვაგონებისაკენ, იქ ჩვენები დგანან-მეთქი“. შევხედე, გაფუჭდა კაცი. მეო, მეუბნება, აქედან ფეხის მომცვლელი არა ვარო, მეშინიაო, მეუბნება“. „არა ხარ და ნუ ხარ, დარჩი, რისი გეშინია, სპირტის ტარება საღვთო საქმეა, დიდი-დიდი, ერთი გძინგონ კბილებში, სპირტის სარტყლის გარდა ხომ ვერაფერს გიპოვიან-მეთქი“. იმ ჩემანალას კი, ვხედავ, მუხლები მოუსავდა. შეხედავ, მოდღლეზილი ვაჟკაცია, ვირის ჯანი აქვს, მაგრამ რად გინდა...

ბიშონკოვი. გამოჩნდება, ისააკ მარკოვიჩ, აბა სად ჯანდაბაში წავა... ფილიპე ჯერ არა ჰყავთ აყვანილი...

დიმშიცი. ძეხვი როგორ?

ბიშონკოვი. ძეხვი კილო თვრამეტ ათასად, ისააკ მარკოვიჩ, თანაც ვერაა, რომ უნდა, იმნაირი... ახლა, კაცმა რომ თქვას, რა ვიტებსკი და რა პეტროგრადი — ერთი ნაგავია...

ევსტიგნეიჩი. *კედელში გამოხსნის სამალავს და იქ გადააქვს პროდუქტი)* მოასწორეს, შობელძაღლებმა, რუსეთი...

დიმშიცი. ბურღული როგორ?

ბიშონკოვი. ბურღული ცხრა ათასად, ისააკ მარკოვიჩ, გინდა, წაიღე, არ გინდა, გაიარე — ვერ შეევაჭრები. იმასაც ის უნდა, თუ დაუწუნებ. იბრიქებიან, მაგრამ რას იბრიქებიან ეს ვაჭრები...

ევსტიგნეიჩი *(კედელში მალავს ლავაშებს)* თქვენმა ოჯახობამ გამოაცხო, გაისარჯა... მოგიკითხათ სიყვარულით...

დიმშიცი. ბავშვები როგორ არიან?

ბიშონკოვი. ბავშვებს რა უჭირთ, კაი ჭამა-სმა, კაი ჰაერი, იკლებენ იქაურობას, შენ ხარ ჩემი ბატონი, ქურქებში არიან ჩაფუთნული... ოჯახობამ, გვინახულეო...

დიმშიცი. მეტი საქმე არა მაქვს!.. *(საანგარიშოზე ჩამოდის.)* ბიშონკოვ!

ბიშონკოვი. გისმენთ!

დიმშიცი. ხელს არ მაძლევს, ბიშონკოვ!

ბიშონკოვი. ნამეტანი გლახა დროა, ისააკ მარკოვიჩ!

დიმშიცი. სარგებელს ვერ ვხედავ, ბიშონკოვ!

ბიშონკოვი. რაც არ არის, საიდან დაინახავთ, ისააკ მარკოვიჩ!.. აგერ მე და ევსტიგნეიჩმა ჩვენი მოკლე ჭკუით მოვილაპარაკეთ — ამ საქმეს უნდა შევეშვათ, სხვა საქონელზე გადავინაცვლოთ. სურსათი ნამეტანი ძნელი საჩანთრავია; ფქვილია და — გლახა სათრევია, ბურღულია და — ვერც იმას ჩაიკუჭნი უბეში. სხვა საქონელზე უნდა გადავინაცვლოთ, ისააკ მარკოვიჩ, სახარინზე ან ქვებზე... დაილოცოს ბრილიანტი — ამოიდე ენის ქვეშ და მორჩომილი საქმეა!

დიმშიცი. ფილიპე არ ჩანს... ეს მაწუხებს მე...

ევსტიგნეიჩი. ეტყობა მიაყუდეს კედელთან...

ბიშონკოვი. ახლა წახდა ქვეყანა, თორემ თვრამეტ წელში ინვალიდს ხელის გულზე ატარებდნენ, ფირმა ვიყავით...

ევსტიგნეიჩი. შენ ეგა თქვი — განათლდა ხალხი. ადრე ვის ექნებოდა შუბლის ძარღვი ისე გაწყვეტილი, ინვალიდისთვის ხელი ეხლო, ახლა ბუზადაც არავინ გაგდებს. „შენაო, მეკითხებიან, რაზე ხართ ინვალიდიო“. „მე-მეთქი, ვეუბნები, ნაღმმა ორივე ფეხი წამაწყვიტა-მეთქი“. „დიდი საქმეო, ერთბაშად თუ წაგაცალა, ვერც გაიგებდიო“, „რას ჰქვია, ვერ გავიგებდი-მეთქი“. „რასა ჰქვია და იმას, რომ ქლოროფორმი გასუნთქეს და ისე მიგახერხეს, ბაიბურშიც არ იქნებოდიო. ესაა, რომ თითებში გექოჭება, არა გაქვს და თითქოს მაინც გტეხავს და გექავება, სხვა არაფერი არ გიჭირს შენო“. „შენ რა იცი მე სად რა მექავება და რა მიჭირს-მეთქი“. „აღარ ვართ ბნელებიო“, მეუბნება, თანაც ჩემს კეთილებში გაისეირნა. „გეტყობათ, რომ განათლებულები ბრძანდებით, ინვალიდს თუ მატარებლიდან აგდებთ-მეთქი. რას მერჩი, რატომ მაგდებ-მეთქი მატარებლიდან უფეხო კაცს“. „იმიტომაც გაგდებო, მეუბნება ის პირძაღლი, რომ ჩვენთან, რუსეთში, უფეხოების დანახვაზე უკვე ვარწყევთო“. და ჩამომაგდო კიდეც, გინდაც ულვინტლი მოგისროლია... არა, მე, ისააკ მარკოვიჩ, ძაან გულნაკლული ვარ ჩვენს ხალხზე, რაც მართალია, მართალია...

*შემოდის ვისკოვსკი, პიჯაკსა და ბრიჯში გამოწყობილი. საყელო გაღეღილი აქვს.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმშიცი. ეს თქვენ ხართ?

ვისკოვსკი. მე გახლავართ.

დიმშიცი. მერე „გამარჯობა“ რა უყავით?

ვისკოვსკი. დიმშიც, ლუდმილა მუკოვნინა თუ იყო თქვენთან?

დიმშიცი. არა, „გამარჯობა“ შინ დაგრჩათ?.. ვთქვათ იყო, რა მერე?

ვისკოვსკი. მუკოვნინების ბეჭედი თქვენა გაქვთ, ეს ვიცი, მოცემით კი მარია ნიკოლაევნა მაგას არ მოგცემდათ...

დიმშიცი. ალბათ მომცეს, თორემ თვითონ ვერ აიდგამდა ფეხს.

ვისკოვსკი. როგორ ჩაგივარდათ ეგ ბეჭედი ხელთ, დიმშიც?

დიმშიცი. ხალხმა მომცა, უნდა გავუყიდო.

ვისკოვსკი. მე მომყიდეთ.

დიმშიცი. ჯითომ რატომაო?

ვისკოვსკი. ცდილხართ თუ არა ოდესმე, დიმშიც, ჯენტლმენი ყოფილიყავით?

დიმშიცი. მე ყოველთვის ვარ ჯენტლმენი...

ვისკოვსკი. ჯენტლმენები ამდენ შეკითხვებს არ იძლევიან...

დიმშიცი. ხალხს ვალუტა უნდა იმ ბეჭედში.

ვისკოვსკი. თქვენ ჩემი გმართებთ ორმოცდაათი ფუნტი.

დიმშიცი. რაში მაინც, მაინტერესებს გავიგო!

ვისკოვსკი. ძაფის საქმეში.

დიმშიცი. რაშიც კინაღამ დავიწვით, არა?

ვისკოვსკი. ცხენოსანთა გვარდიაში ჩვენთვის ძაფებით ვაჭრობა არ უსწავლებიათ.

დიმშიცი. საქმე ის გახლავთ, რომ თქვენ ფიცხი ხართ.

ვისკოვსკი. მოგვეცით დრო, მაესტრო, და ჩვენც გავიწაფებით...

დიმშიცი. როგორღა გაიწაფებით, თუ არ დამიჯერებთ? ერთს გეუბნებიან, თქვენ მეორეს აკეთებთ. — ომში თქვენ როტმისტრი ხართ თუ გრაფი — არ ვიცი, იქ თქვენ რა ხართ — ომში შეიძლება კარგია, თქვენ რომ ფიცხი ხართ, საქმეში კი ვაჭარმა უნდა მოზომოს, რაზეც ჯდება...

ვისკოვსკი. არის, მოვზომოთ!

დიმშიცი. გულმოსული ვარ თქვენზე, ვისკოვსკი, სხვა რამეზეც ვარ გულმოსული. ეს რა ხათაბალაში გამხვიეთ იმ თავადის ქალთან?

ვისკოვსკი. უბრალოს ხომ ვერ შემოგკადრებდით..

დიმშიცი. ქალწული რომ იყო, იცოდით?

ვისკოვსკი. წიწკვი და რა წიწკვი...

დიმშიცი. ჰოდა, სწორედ ეს წიწკვი არ მჭირდება მე. გაიგეთ, ბატონი როტმისტრო, მე პატარა კაცი ვარ, რა შავქვად მინდა, რომ ეს თავადის ქალი ხატიდან გადმოსული ღვთისმშობელივით გამომეცხადოს და თვალებში მომჩერებოდეს. მე რა გითხარით; მე გითხარით, რომ იყოს ქალი, დედაკაცი ოცდაათი, ოცდათხუთმეტი წლის, ოჯახის ქალი, ამ ცხოვრების აზრზე რომ არის და რომელიც მადლიერი იქნება ჩემი ბრინჯისა და ბურღულის, ოთხას გრამ კაკაოსაც წაუღებს ბავშვებს და მერე აღარ მეტყვის: „მურდალო სპეკულიანტო! შენ გამსვარე, გამიხმარე მე“.

ვისკოვსკი. ჯერჯერობით რეზერვში გვრჩება უმცროსი მუკოვნინა.

დიმშიცი. ეგ ქალი ცრუა. მე არ მიყვარს მატყუარა ქალები... რატომ უფროსი და არ გამაცანით?

ვისკოვსკი. მარია ნიკოლაევნამ დაკრა ფეხი და ჯარში წავიდა.

დიმშიცი. აი, მარია ნიკოლაევნა კი მესმის! მისი დანახვა და დალაპარაკებაც ერთ რამედ ღირდა... იმდენი აჯანჯლეთ, რომ ეგ ქალი ხელიდან წაგივიდათ.

ვისკოვსკი. უფროს დასთან სხვა ვითარებაა, დიმშიც, ძალიან რთული ვითარება.

ევსტიგნეიჩი. „შენაო, მეუბნება, შეშინებაც ვერ მოასწარიო, იღბალი გქონიაო“ — მის მკვდარსა და ცოცხალს ჩემნაირი იღბალი...

*შორიდან მოისმის გასროლის ხმა, შემდეგ — ახლო. სროლა გახშირდა. დიმშიცმა შუქი ჩააქრო და კარი გადარაზა. შუქი ფანჯრიდან სცემს; მწვანე მინები, ყინვა.*

*(ჩურჩულით)* ესეც თუ სიცოცხლეა...

ბიშონკოვი. დალახვროს ეშმაკმა!

ევსტიგნეიჩი. მეზღვაურებია, რომ უჟაპუნებენ...

ბიშონკოვი. გაძაღლდა ცხოვრება, ისააკ მარკოვიჩ!

კაკუნი კარზე. დუმილი. ვისკოვსკიმ ჯიბიდან რევოლვერი დააძრო და დამცველი ჩახსნა. ისევ კაკუნი.

ვინ არის?

ფილიპე (კარს მიღმა). მე.

ევსტიგნეიჩი. ხმა ამოიღე.. ვინ მე?

ფილიპე. გამიღე.

დიმშიცი. ფილიპეა.

ბიშონკოვმა კარი გააღო. ოთახში უზარმაზარი უფორმო არსება შემობობღდა, კედელს მიასკდა, გაყუჩდა. შუქი ინთება, ფილიპეს ერთ მხარეს სახის ნაცვლად წითელი ხორცის ნაჭერი ადევს. იგი თავჩაქინდრული და თვალებდახუჭული დგას.

შენ გესროდნენ?

ფილიპე. არა.

ევსტიგნეიჩი. სული თუ გიდგას, ფილიპე?

ევსტიგნეიჩმა და ბიშონკოვმა ტყაპუჭი გახადეს ფილიპეს; ზედაწელს შიგნით რეზინის კოსტუმი ამოუღეს და ძირს დააგდეს. იატაკზე გათხლაშულია რეზინის უხელო კაცი, — მეორე ფილიპე. ფილიპეს თითები დასერილი აქვს, ჭრილობიდან სისხლი სწვეთს.

გვარიანად დაუმუშავებიხართ. ჩვენც ადამიანებში ვწერივართ, რაღა...

ფილიპე. (თავი ეყანთრება) კვალში.. კვალში ჩამიდგა...

ევსტიგნეიჩი. ის აგეკიდა?

ფილიპე. ჰო.

ევსტიგნეიჩი. ჩექმებიანი?

ფილიპე. ჰო.

ევსტიგნეიჩი. აუყვანიხარ და ეგ არი...

დიმშიცი. აქამდე მოიყვანე?

ფილიპე (გაჭირვებით ღეღლავს). აქამდე არ მომიყვანია... სროლა ატყდა და შევეთესე...

ბიშონკოვი და ევსტიგნეიჩი მხარში შეუდგნენ დაჭრილს, დააწვინეს.

ევსტიგნეიჩი. გითხარი, ვაგონებისკენ მომყევი-მეთქი.

ფილიპე კვნესის, ოხრავს. შორს ისევ გასროლა და ტყვიამფრქვევის ჯერი, შემდეგ ყველაფერი გაყუჩდა.

ესეც თუ სიცოცხლეა.

ბიშონკოვი. ეშმაკმა დალახვროს...

ვისკოვსკი. სად გაქვთ ბეჭედი, მაესტრო?

დიმშიცი. დაგიხატავთ ბეჭედს, ვისკოვსკი!

## მეორე სურათი

მუკოვნინების სახლის ოთახი, რომელიც საძილეც არის, სასადილოც და კაბინეტიც — ოციანი წლების ოთახი. ძველმოდური ავეჯი, იქვე ნავთქურა — საკვამური მთელ კედელს გასდევს. ღუმელის ქვეშ წვრილად დაპობილი შეშა აწყვია. თეჯირს იქით თეატრში წასვლის წინ იკაზმება ლუდმილა ნიკოლაევნა. ნათურისათვის მიუფიცხებიათ თმის დასახვევი მაშა. კატერინა ვიაჩესლავოვნა კაბას აუთოებს.

ლუდმილა. ჩამორჩენილხართ, ქალბატონო... ახლა თეატრში ძალიანაც მორთული ხალხი დაიარება. დები კრიმოვები, ვარია მეიენდორფი — ყველანი საყურნალოდ არიან მოკაზმული და, დამიჯერე, გადასარევად ცხოვრობენ...

კატია. არ გამაგიჟო, ვინ ცხოვრობს ჩვენს დროში გადასარევად...

ლუდმილა. რამდენიც გინდა... ჩამორჩენილხარ, კატიუშა... ბატონი პროლეტარები ეშხში შევიდნენ. მათ უნდათ, რომ ქალი კოხტად გამოიყურებოდეს. შენ გგონია, შენს რედკოს მოსწონს, ჩაფართხუნებული რომ დადიხარ? სულაც არ მოსწონს... ბატონი პროლეტარები ეშხში შევიდნენ, კატიუშა.

კატია. შენ ადგილას წამწამებს არ გავიკეთებდი, ეს უსახელო კაბაც...

ლუდმილა. ნუ გავიწყდება, ძვირფასო, რომ კავალერი მახლავს...

კატია. კავალერი, თორემ ერთბაშად არ შეამჩნიოს...

ლუდმილა. შენ ეგა თქვი... იმას თავისი გემოვნება, ტემპერამენტი აქვს...

კატია. წითურები ვნებიანები არიან — ცნობილი ამბავია...

ლუდმილა. ჩემი დიმშიცი რამ გააწითურა, შოკოლადისფერია.

კატია. მართალია, მილიონერი არისო? მე მგონია, ვისკოვსკი ბოდავს რაღაცას...

ლუდმილა. დიმშიცს ექვსი ათასი გირვანქა სტერლინგი აქვს.

კატია. მერედა შეიძლება ხეიბრებით ამხელა ფულის გაკეთება?

ლუდმილა. ვინ მოგახსენა, რომ მარტო ხეიბრებით... ვინ უშლიდათ სხვებს ამის მოფიქრებას... მაგათ არტელი აქვთ, თავიანთი წილი; ინვალიდებს ბოლო ხანებამდე არა ჩხრეკდნენ, საქონელს იმათ აბრუნებინებდა...

კატია. ებრაელი უნდა იყო, რომ ეგ მოგაფიქრდეს...

ლუდმილა. ეჰ, კატიუშა, სჯობს ებრაელი იყო, ვიდრე კოკაინისტი ჩვენი კაცებივით.. ერთია და — კოკაინისტია, მეორე, გაიხედავ და, მთავრობას დაეხვრეტინა, მესამემ შოლტი დაიჭირა და კოფოზე დაჯდა, მუშტრებს ელოდება „ევროპასთან"... Par le temps qui court* ებრაელი ყველაზე სანდოა...

კატია. დიმშიცზე სანდო ვერავინ მოძებნე?

ლუდმილა. Katy, ჩვენ ხომ ქალები ვართ, სუსტი დედაკაცები, აგერ ჩვენი მეეზოვე აგაშასი არ იყოს — „ენის ტარტარი ყელში ამომივიდაო", ასეა... ჩვენ წინააღმდეგობის გამწევი ხალხი არა ვართ, ნამდვილად არა ვართ...

კატია. ბავშვებსაც გაუჩენ?

ლუდმილა. გავუჩენ ორ წითურას.

კატია. მოკლედ — კანონიერ ქორწილს ვაპირებთ?

ლუდმილა. ებრაელებთან სხვანაირად არ შეიძლება, კატიუშა. ეგენი საოცარი მეოჯახე ხალხია, ცოლი ებრაელის მრჩეველია, ბავშვებს ისინი თავზე დაჰკანკალებენ. თანაც ებრაელი ყოველთვის მადლიერია ქალისა, რომელიც მას ეკუთვნოდა. აქედან მოდის ეს კეთილშობილური თვისებაც — ქალის პატივისცემა.

კატია. როდის მოასწარი ებრაელების ასე გაცნობა?

ლუდმილა. მოვასწარი, ჩემო კარგო: მამა ვილნოში კორპუსის მეთაურად იყო, იქ კი სავსეა ებრაელები... მამას მეგობარიც ჰყავდა — რაბინი. მათი რაბინები ყველა ფილოსოფოსებია.

კატია. (თეჯირზე გადაუდებს დაუთოებულ კაბას). თეატრის შემდეგ — ვახშმადაც ვაპირებთ?

ლუდმილა. არ არის გამორიცხული...

კატია. ვახშამზე თქვენ დალევთ, ლუდმილა ნიკოლაევნა, ვნებათა ღელვანი, ირგვლივ ყველაფერი ბურუსში ჩაიძირება...

ლუდმილა. რას ბრძანებთ, ქალბატონო, კბილს მოჰკვეთს... თვეს, ორ თვეს უნდა იფარფატოს ჩემს ირგვლივ, ებრაელებთან სხვანაირად არ შეიძლება. იქნება თუ არა პაჩი, ესეც საკითხავია...

შემოდის თექის ჩექმებიანი გენერალი: ხალათად გადაკეთებული წითელსარჩულიანი შინელი; ორი წყვილი სათვალე.

მუკოვნინი (კითხულობს) „...ათას რვაას ოცი წლის ოქტომბრის თექვსმეტში, კურთხეული იმპერატორის ალექსანდრეს ხელმწიფების ჟამს, სემიონოვსკის პოლკის ლეიბ-გვარდიის ასეულმა დაივიწყა რა მიცემული ფიცი და უფროსებისადმი მორჩილების სამხედრო მოვალეობა, გაბედა თვითნებურად შეკრებილიყო გვიან ღამით"... (თავს ასწევს.) რაში გამოიხატა ფიცის ეს დავიწყება? იმაში, რომ გადაძახილის შემდეგ ხალხმა დერეფანში მოიყარა თავი და გადაწყვიტეს ეთხოვათ ასეულის უფროსისათვის გაეუქმებინა მომდევნო შეკრება სახლებში შესამოწმებლად.. პოლკის უფროსი ამგვარ შემოწმებებსაც ატარებდა. ამ, ეგრეთწოდებული, ამბოხის გამო სასჯელის ზომაც დაადგინეს. როგორი? (კითხულობს.) „...დაბალ ჩინებს, მოთავეებს, სიკვდილით დასჯა, პირველი და მეორე ასეულის ხალხს, ვინც უწესრიგობის მაგალითი

* ჩვენს დროში (ფრანგ.).



ეროვნული ბიბლიოთეკა

მისცა სხვებს, ჩამოხრჩობა, რიგითებს, მესამე მუხლში მოხსენიებულთ, სხვათა სამაგალითოდ, ათასეულის მწკრივში შპიცრუტენების ქვეშ ექვსჯერ გატარება“...

ლუდმილა. რა საშინელებაა..

კატია. განა ვინმე უარყოფს, რომ წინათ ბევრი მხეცობა ხდებოდა?

ლუდმილა. მე მგონია, ბოლშევიკებისათვის მამას წიგნი ხელზე დასახვევია: მაგათაც ხომ ის უნდათ, თუ ძველ არმიას გაათახსირებენ...

კატია. ეგენი ყველაფერს მიმდინარე მომენტისათვის ითხოვენ.

მუკოვნინი. სემიონოვსკის ტრაგედიას მე ორ თავად ვყოფ. პირველში ვიკვლევ ამბოხის მიზეზებს, მეორეში ჯანყს აღვწერ, წამებას, მადნებში გადასახლებას... ჩემი ისტორია იქნება ისტორია ყაზარმის — ხალხების ჩამოთვლა კი არა, არაკჩეევის ხელში ჩაცვენილი ყველა იმ სიდოროვებისა და ვანკების ცხოვრება, ოცი წლის სამხედრო კატორღაში რომ იყვნენ გამწესებულნი.

ლუდმილა. მამა, ერთი წაუკითხე კატიას ის თავი, იმპერატორ პავლეზე... ტოლსტოი, აი, ვინ შეაფასებდა, ცოცხალი რომ იყოს, ექვიც არ მეპარება.

კატია. გაზეთებში ყველაფერს მიმდინარე მომენტისათვის ითხოვენ.

მუკოვნინი. წარსულის შეცნობის გარეშე მომავლისაკენ გზა დახშულია. ბოლშევიკები ივანე კალიტას დაწყებულ საქმეს აგრძელებენ — თავს უყრიან რუსულ მიწას. ჩვენ, კადრის ოფიცრები, თუნდაც იმიტომ ვჭირდებით, რომ ჩვენსავე შეცდომებზე მოვუთხრათ...

ზარი. შემოსასვლელში ფაციფუცია. შემოდის ქურქიანი დიმშიცი. ხელში პარკები უჭირავს.

დიმშიცი. გამარჯობათ, ნიკოლაი ვასილევიჩ, გამარჯობათ, კატერინა ვიაჩესლავნა! ლუდმილა ნიკოლაევნა შინ ბრძანდება?

კატია. თქვენ გელოდებათ...

ლუდმილა. (თეჯირიდან). ვიცვამ...

დიმშიცი. გამარჯობათ, ლუდმილა ნიკოლაევნა! ძაღლი კარში არ გაიგდება, ისეთი ამინდია... იპოლიტმა მომიყვანა, გამბერა ცხელ-ცხელი ამბებით, მაზალო ვინმეა.. ხომ არ ვაგვიანებთ, ლუდმილა ნიკოლაევნა?

მუკოვნინი. რა დროს თეატრია ამ შუადღეზე...

კატია. ახლა თეატრები დღის ხუთ საათზე იწყება, ნიკოლაი ვასილევიჩ!

მუკოვნინი. რაო, ელექტროენერგიას ვზოგავთ?

კატია. ვზოგავთ. თანაც გვიან რომ დამთავრდეს, ქუჩაში გაგხდიან.

დიმშიცი. (პარკებს ალაგებს). ეს ლორია, ნიკოლაი ვასილევიჩ, ამის სპეციალისტი არ გახლავართ, მაგრამ მიქეს უსაშველოდ...

კატია კუთხეში მიდგება, სწევს.

მუკოვნინი. რატომ ირჯებით ამდენს, ისააკ მარკოვიჩ!

დიმშიცი. ...ესეც ხოხოზიკი...

მუკოვნინი. (ვერ გაიგებს) უკაცრავად?..

დიმშიცი. თქვენი მამის სახლში ეს დაგემოვნებული არ გექნებათ, მაგრამ მინსკში, ვილნიუსში, ჩერნობილში დიდი გასავალი აქვს. ეს კი შებოლილი ბატის რამერუმეებია. გასინჯეთ და მსჯავრი მერმე დასდეთ... წიგნი რას შვრება, ნიკოლაი ვასილევიჩ, თუ მიდის წინ...

მუკოვნინი. ღვთის მადლით, მიდის. ალექსანდრე პავლეს ძის მეფობას მივადექით.

ლუდმილა. რომანივით იკითხება, ისააკ მარკოვიჩ. „ომი და მშვიდობა“ გაგახსენდებათ, ის ადგილები, ტოლსტოი რომ ჯარისკაცებზე წერს....

დიმშიცი. ძალიან სასიამოვნოა. დე ქუჩაში ისროდნენ, ნიკოლაი ვასილევიჩ, ქუჩაში შუბლიმც უხლიათ კედლისთვის,— თქვენ თქვენი უნდა აკეთოთ. წიგნს დაამთავრებთ — მაყარიჩი ჩემზე იყოს, პირველ ას ეგზემპლარს ვყიდულობ... ესეც სალტისონი, ნიკოლაი ვასილევიჩ, სახლისა გახლავთ, ერთი გერმანელი აკეთებს....

მუკოვნინი. ეხლა კი გავბრაზდები, ისააკ მარკოვიჩ...

დიმშიცი. დიდი პატივიც იქნება ჩემთვის, თუ გენერალი მუკოვნინი გამიბრაზდება... სალტისონი მართლაც იშვიათი რამ არის. ის გერმანელი საკმაოდ ცნობილი პროფესორი იყო, ეხლა ძეხვებს აკეთებს... ლუდმილა ნიკოლაევნა, ძალიან მეეჭვება, რომ სპექტაკლს მივუსწროთ...

ლუდმილა. (თეჯირს იქიდან). მზადა ვარ!

მუკოვნინი. რამდენია ჩემზე, ისააკ მარკოვიჩ!

დიმშიცი. თქვენზე გახლავთ ზუსტად ერთი ნალი იმ ცხენისა, დღეს რომ ნევსკის პროსპექტზე ჩაბარდა პატრონს...

მუკოვნინი. არა, სერიოზულად...

დიმშიცი. თუ სერიოზულად, მაშინ ორი ნალი ორი ცხენისა.

თეჯირიდან გამოდის ლუდმილა ნიკოლაევნა, აშოლტილი, ატკრციალებული, თვალისმომჭრელი — აცვია ხავერდის უსახელო შავი კაბა, ბრილიანტის საყურეები უკეთია.

მუკოვნინი. ხომ კარგი ქალიშვილი მყავს, ისააკ მარკოვიჩ?

დიმშიცი. არაო, რომ გითხრათ, დამეჯერება?

კატია. აი ისიც, ისააკ მარკოვიჩ — რუსული სილამაზე.

დიმშიცი. ამის სპეციალისტი არ გახლავართ, მაგრამ ვხედავ, რომ კარგი რამეა.

მუკოვნინი. თქვენ ჯერ ჩემი უფროსი ქალიშვილი უნდა გაგაცნოთ — მაშა...

ლუდმილა. გაფრთხილებთ, მარია ნიკოლაევნა ჩვენი ყველასი აღიარებული ფავორიტია, და ეს ჩვენი ფავორიტი ჯარში წავიდა.

მუკოვნინი. პოლიტნაწილში, ლიუკა, ეს რა ჯარია...

დიმშიცი. პოლიტნაწილის ამბები მე მკითხეთ, თქვენო აღმატებულებავ. ჰმ, ჯარი მიმიქარავს...

კატია. (ლუდმილას განზე გაიხმობს). დამიჯერე, საყურეები ზედმეტია...

ლუდმილა. შენ ასე გგონია?

კატია. აბა რა, ზედმეტია... არც ეს ვახშამი...

ლუდმილა. დამიწყნარდი, ქალბატონო. შვილიშვილი ბებიას ასწავლიდაო... (ჰკოცნის კატიას.) კატიუშა, ძვირფასო, ცუღლუტო... (დიმშიცს.) ჩემი ბოტები... (შეტრიალდება და საყურეებს მოიხსნის)

დიმშიცი. (გავარდება.) მომენტ!

ჩაცმა: ბოტები, ქურქი, ორენბურგული თივთიკი. დიმშიცი ფართიფურთობს, ტრიალებს.

ლუდმილა. ვიცვამ და მიკვირს — თურმე ყველაფერი არ გაგვიყიდია... მამა, კეთილი ინებე და უჩემოდ დალიე წამალი. და კიდევ, კატია, მეტ მუშაობას ნულა დაანებებ..

მუკოვნინი. მე და კატია ოჯახში მივდგებ-მოვდგებით...

ლუდმილა. (მამას ჰკოცნის შუბლზე). როგორი მამიკო მყავს, ისააკ მარკოვიჩ? ხომ არ ჰგავს სხვა მამებს, ა?

დიმშიცი. ნიკოლაი ვასილევიჩი განძია, კაცი კი არა!

ლუდმილა. მისი ფასი მარტო ჩვენ ვიცით, შინაურებმა... სად დატოვეთ თავადი იპოლიტი?

დიმშიცი. ჭიშკართან. ვუბრძანე — მიცადოს... სმენაზე დგას... წუთში მიგვაგრიალებს... კარგად მენახეთ, ნიკოლაი ვასილევიჩ!

კატია. ძალიანაც ნუ გადაჰყვებით ქეიფს!

დიმშიცი. ძალიან — არა, ან ვინ გაქეიფებს ჩვენს დროში შენს გემოზე!

ლუდმილა. ნახვამდის, მამიკო!

მუკოვნინი ქალიშვილსა და დიმშიცს შემოსასვლელში გააცილებს. იქიდან ხმაური და სიცილი ისმის. გ ე ნ ე რ ა ლ ი ბრუნდება.

მუკოვნინი. ძალზე ღირსეული და სასიამოვნო ებრაელია...

კატია (დივანში მიიკუჭა, ეწევა). მე მგონია, რომ მაგით ყველას აკლიათ ტაქტი.

მუკოვნინი. კატია, გეთაყვა, რა გასაკვირია, რომ ტაქტი არ ჰქონდეთ? ხალხს ქუჩის ერთ მხარეზე აცხოვრებდნენ, პოლიციელებს უძახდნენ და კინწისკვრით ერეკებოდნენ მეორე მხრიდან. ასე იყო კიევში, ბიბიკოვის ბულვარზე. რა გასაკვირია, რომ ტაქტი არ ჰქონდეთ. გასაკვირი ის არის, საიდან აქვთ ამხელა ენერგია, სასიცოცხლო ძალა და წინააღმდეგობის უნარი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ტ ი ა. ეგ ენერგია ახლა რუსულ ცხოვრებაში შემოიჭრა, მაგრამ ჩვენ ხომ სხვანი ვართ, ჩვენთვის უცხოა ეს...

მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი. ფატალიზმი — ეს არ არის ხომ ჩვენთვის უცხო?! რასპუტინი და გერმანელი დედაკაცი ალისა, დინასტია რომ დაღუპეს — ესენი არ არიან ხომ ჩვენთვის უცხონი?! სარგებლობის გარდა განა რა მოუტანია ამ საოცარ ხალხს, ჰაინე, სპინოზა, ქრისტე რომ შვა...

კ ა ტ ი ა. ნიკოლაი ვასილევიჩ, თქვენ იაპონელებსაც კი აქებდით...

მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი. ვაქებდი... იაპონელები დიახაც რომ დიდი ერია. მათგან უნდა ვისწავლოთ, ბევრი რამ ვისწავლოთ...

კ ა ტ ი ა. კიდევ იტყვიან, მარია ნიკოლაევნა ვის გამოემგვანაო... თქვენ ბოლშევიკი ბრძანებულხართ, ნიკოლაი ვასილევიჩ.

მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი. მე რუსი ოფიცერი ვარ, კატია, და ვეკითხავ: როგორ მოხდა ეს, ბატონებო, როდის აქეთ არის, ვეკითხავ მე, რომ გვეუცხოება ბრძოლის თამაშის წესები?.. ჩვენ ვტანჯავდით ამ ხალხს, ვამცირებდით, ისინი თავს იცავდნენ, ახლა შეტევაზე გადმოვიდნენ და იბრძვიან მოხერხებულად, ჭკვიანურად, თავგანწირულად, მეტსაც ვიტყვი, იბრძვიან იდეალისათვის, კატია.

კ ა ტ ი ა. იდეალი? რა მოგახსენოთ.. ჩვენ უბედურები ვართ და არც არასოდეს ვიქნებით ბედნიერნი... მაგ თამაშში ჩვენ შეგვწირეს, ჩვენ გაგვიმეტეს, ნიკოლაი ვასილევიჩ...

მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი. დე შეაჯანჯღარონ ვანიუხა და პეტრუხა, საქმეს ასე სჭირდება. დროც აღარ ითმენს, კატია. პეტრემ, ერთადერთმა რუსმა იმპერატორმა, ბრძანა: „დაყოვნება სიკვდილს უდრის". აი, მცნება! და თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ, ბატონო ოფიცრებო, უნდა გვეყოს ვაჟკაცობა დავხედოთ რუქას, გავარკვიოთ, თავს საიდან დაგვიარეს, სად და რა მიზეზით დავმარცხდით... თვალს ნურაფერზე დახუჭავ — აი, ეს მაქვს წესად და არც ვაპირებ მას ვუღალატო.

კ ა ტ ი ა. ნიკოლაი ვასილევიჩ, თქვენ წამალი უნდა დალიოთ.

მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი. ჩემს თანამებრძოლებს, ვის მხარდამხარაც მიომნია, მე ვეუბნები: ბატონებო, tirez vos conclusions,[1] დროის დაკარგვა სიკვდილს უდრის. (გადის).

კედელს მიღმა ვიოლონჩელზე ბახის ფუგას უკრავენ — გულგრილად და წმინდად. კატია უსმენს, შემდეგ დგება. ტელეფონთან მიდის.

კ ა ტ ი ა. საოლქო შტაბი მომეცით... რედკო მომეცით... შენა ხარ, რედკო? რაღაც უნდა გითხრა... შენ გარდაც არიან ალბათ ხალხი, ვინც რევოლუციას აკეთებს, მაგრამ მარტო შენ ვერ იცლი ადამიანის სანახავად... ადამიანისა, რომელთანაც წვები, როცა შენ ეს მოგეგუნებება...

პ ა უ ზ ა

რედკო, გამასეირნე რა; გამომიარე მანქანით... რას იზამ, თუ კი არა გცალია... არა ვბრაზობ; რაზე უნდა გავბრაზდე (ყურმილს დებს).

მუსიკა შეწყდა. შემოდის გ ო ლ ი ც ი ნ ი, აწოწილი კაცი ჯარისკაცის ქურთუკსა და სახვევებში, ხელთ ვიოლონჩელი უჭირავს.

კ ა ტ ი ა. თავადო, როგორ გითხრეს დუქანში — „ნუ აგვატირეო"?

გ ო ლ ი ც ი ნ ი. „ნუ აგვატირე, ნუ აქვითინებ მაგ პატრონსაკვდავსო".

კ ა ტ ი ა. იმათ სამხიარულო უნდათ, სერგეი ილარიონოვიჩ, ხალხს ტირილი სახლში ეყოფა, დასვენება უნდათ, გულის გადაყოლება...

გ ო ლ ი ც ი ნ ი. ყველას არა. ზოგი მგრძნობიარე რამეს მოითხოვს.

კ ა ტ ი ა. (როიალს მიუჯდება). ვინ არიან თქვენი მსმენელები?

გ ო ლ ი ც ი ნ ი. ქარხნის მტვირთავები.

კ ა ტ ი ა. მასე მალე პროფკავშირის წევრიც გახდებით... ვახშამსაც იქ გაძლევენ?

გ ო ლ ი ც ი ნ ი. მაძლევენ.

კ ა ტ ი ა. (უკრავს „Яблочко"-ს, ჩუმად ღიღინებს).

გემი ტალღებს შეერია, თევზი მისდევს ჯგროდ.
ჯეელებით თევზებს დავაძღობთ.

აბა, ამყევით. დუქანში ეს დაუკრათ. ემჯობინება.

გოლიცინი ვიოლონჩელს აიყოლებს, ჯერ ურევს, შემდეგ მიუწყობს.

სერგეი ილარიონოვიჩ, ღირს სტენოგრაფია ვისწავლო?

გ ო ლ ი ც ი ნ ი. სტენოგრაფია? — რა მოგახსენოთ.

კ ა ტ ი ა:

ტუჩები მაქვს მარწყვისფერი, თვალები კი ლურჯია,
ცოლად არავის მივყავარ, დაბურჯგნით კი მბურჯგნიან.

სტენოგრაფებზე დიდი მოთხოვნილებაა ახლა.

გ ო ლ ი ც ი ნ ი. ვერაფერს გეტყვით. (აწყობს „Яблочко"-ს).

კ ა ტ ი ა. ქალი ვარო, მაშამ უნდა თქვას... ძალაცა აქვს, გამბედაობაც, მოკლედ, ქალია ნამდვილი. ჩვენ აქ ვოხრავთ, ვვიშვიშებთ, ის კი ბედნიერია იმ თავის პოლიტნაწილში; ბედნიერების გარდა თუ გამოუგონიათ, ნეტავ, ადამიანებს რაიმე კანონი? არც არის, მე რომ მკითხო, სხვა კანონი.

გ ო ლ ი ც ი ნ ი. მარია ნიკოლაევნას მიეთ-მოეთი არ უყვარს, თავის ნათქვამა ქალია.

კ ა ტ ი ა. მართალიც არის.

გემი ტალღებს შეერია, თევზი მისდევს ჯგროდ...
თანაც რომანი აქვს იმ აკიმ ივანიჩთან...

გ ო ლ ი ც ი ნ ი. (დაკვრას შეწყვეტს). ვინ აკიმ ივანიჩია?

კ ა ტ ი ა. იმათი დივიზიის მეთაური, ყოფილი მჭედელი... ყოველ წერილში იმაზე იწერება.

გ ო ლ ი ც ი ნ ი. რატომ მაინცდამაინც რომანი?

კ ა ტ ი ა. სტრიქონებშუა ჩანს, მე ხომ ვგრძნობ... იქნებ წავსულიყავი ბორისოგლებსკში, ჩემიანებთან? ავია თუ კარგია, ნაფუძარია მაინც... აი, თქვენ, მაგალითად, მონასტერში დადიხართ იმ ბერთან... რა ჰქვია?

გ ო ლ ი ც ი ნ ი. სიონიი.

კ ა ტ ი ა. სიონიისთან. რას გმოძღვრავთ, ნეტა?

გ ო ლ ი ც ი ნ ი. ჩვენ ბედნიერებაზე ვსაუბრობთ. ის მასწავლის, რომ ბედნიერება ადამიანებზე ბატონობის გრძნობაში არ არის და არც ამ აღუვსებელ სიხარბეში, ვერაფრით რომ ვერ მოგვიპარავს...

კ ა ტ ი ა. აბა ერთიც, სერგეი ილარიონოვიჩ!

გასათხოვ ქალს ხუთი შვილი მახვევია გრულია,
ვალებში ვარ, ფული არ მაქვს, გადაკვრა კი მწყურია...
სიონიი — ლამაზი სახელია.

## მ ე ს ა მ ე ს უ რ ა თ ი

ლ უ დ მ ი ლ ა და დ ი მ შ ი ც ი ამ უკანასკნელის ოთახში. მაგიდაზე ვახშმის ნარჩენები, ბოთლები. მოჩანს მეორე ოთახის ნაწილიც. იქ ბ ი შ ო ნ კ ო ვ ი, ფ ი ლ ი პ ე და ე ვ ს ტ ი გ ნ ე ი ჩ ი კარტს თამაშობენ; ფეხეპამოჭრილი ევსტიგნეიჩი სკამზე დაუყენებიათ.

ლ უ დ მ ი ლ ა. ფელიქს იუსუპოვი კალმით ნახატი იყო, ტენისისტი, რუსეთის ჩემპიონი. ესაა, რომ მამაკაცური ეშხი აკლდა... სწორედ ფელიქსთან გავიცანი ვლადიმირ ბაგლეი. ხელმწიფემ ვერა და ვერ დააფასა ამ ადამიანის რაინდული ბუნება. ჩვენ მას „ტევტონ-რაინდს" ვეძახდით... ფრედერიკსი თავად სერგეისთან მეგობრობდა... ხომ იცით თავადი სერგეი, ვიოლონჩელზე უკრავს... ვახშმად სიურპრიზიც გველოდა hors programme[2] — არქიეპისკოპოსი ამბროსი. მამაო — თქვენ წარმოიდგინეთ — აგვიცუნდრუკდა, მისხამს ღვინოს და გატანჯული სახით თვალებში შემომციცინებს; ვლადიმირს ჯერ არ მოვწონებივარ, თავად გამომიტყდა: „გიხილეთ პაჭუა, si demesurement russe[3], ატკრციალებული"...
გამთენია ცარსკოეში გავემგზავრეთ, პარკში დავტოვეთ მანქანა და ეტლით გავისეირნეთ. თავად მიჰყავდა. „ლუდმილა ნიკოლაევნა, ალბათ შემამჩნიეთ, რომ მთელი საღამო თქვენთვის თვალი არ მომიცილებია". „ეს შეამჩნია ნინა ბუტურლი-

[1] გამოიტანეთ დასკვნები (ფრანგ.).

[2] პროგრამის დამატება (ფრანგ.).

[3] ასეთი უსაშველოდ რუსული (ფრანგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამაც, mon prince". მე ვიცოდი, რომ მათ რომანი ჰქონდათ, უფრო სწორად — ფლირტი. „ბუტურლინა c'est le passe, ლუდმილა ნიკოლაევნა..." — „On revient toujours, ses premiers amours, mon prince".[4] ვლადიმირი არ ატარებდა დიდი თავადის ტიტულს, იგი მორგანატული ქორწინების ნაყოფი გახლდათ, მათი ოჯახი ერიდებოდა დედოფალს... ვლადიმირი იმ ქალს ბოროტების გენიას ეძახდა. თავად პოეტი იყო, სულ უმაწვილი, პოლიტიკის არა გაეგებოდა... მივედით ცარსკოეში. ირიურაჟა. სადღაც მახლობლად, ტბორთან, ბულბული გალობდა. ჩემი თანამგზავრი ბუტბუტებს: „Mademoiselle Boutourline c'est le passé"[5]. „Mon prince, წარსული ზოგჯერ გვიბრუნდება, და მწარედაც გვიბრუნდება"...

დიმშიცი შუქს აქრობს, მუკოვნინას დაეძგერება, ზედ გადაემხობა, ბურჯგნის. ქალი გამოუსხლტება, თმებსა და კაბას ისწორებს.

ბიშონკოვი. (ჩამოდის კარტს). გაჩერი, თუ ბიჭი ხარ....

ფილიპე. რა ოხრობით...

ევსტიგნეიჩი. იმას გეუბნებოდით, მიაყენეს მესერთან, ხელები გაკრული აქვს. „აბაო, ეუბნებიან, ერთი შებრუნდიო". ის კი — „რათ მინდა, ომში ვარ ნამყოფი, მრეკეთ ეგრევეო"... წნული ღობე ყოფილა, დაბალი, ახლა რო ვარ, იმსიმაღლე... სკვარამია, სოფლის კიდე, ტრამალის იქით — გადასავარდნი...

ბიშონკოვი (გაჭრა. კარტი). გამოვძვერი, გონია!

ფილიპე. მაგ კარტით, შე კაცო...

ევსტიგნეიჩი. „მიაყენეს-მეთქი, გაემზადნენ... ისიც დგას ღობესთან. უცებ არ აიწია და ხელებგაკრული ღობეს არ გადააფრინდა, რა ეშმაკმა ააწყვიტა მიწას, გასაოცარი პირდაპირ... გადააფრინდა და მოცოცხა. აქედან მიაყოლეს ზედიზედ... რას მოარტყამ იმ სკვარამში, თანაც იკლიკანტურად გარბის — წაუვიდათ, მოკლედ.

ფილიპე. (კარტს არიგებს). მაგარი ყოფილა!

ევსტიგნეიჩი. მაგარი რომელია, უბედური ჰყავდა გამჩენს. ძმაკაცები ვიყავით... ნახევარი წელი კიდევ იბაირამა, მაინც გამოიჭირეს...

ფილიპე. გაასაღეს?

ევსტიგნეიჩი. გაასაღეს. არ უნდა ექნათ — კაცი მიქელგაბრიელს ჩააჩერდა თვალებში, კაცი შუა გზიდან გამობრუნდა — მაგის მოკვლა იქნებოდა?!

ფილიპე. მაგას უყურებენ სწორედ ახლა...

ევსტიგნეიჩი. არ უნდა ექნათ. ყველგანაა კანონი, თუ გადარჩი, ხელს ველარ გახლებენ...

ფილიპე. ჩვენთან დასახვრეტი ნახონ ვინმე და...

ბიშონკოვი. ჩვენთან — გიყვარდეს...

ლუდმილა. შუქი აანთეთ!

დიმშიცი შუქს აანთებს.

წავედი მე. (მოტრიალდება, უყურებს დიმშიცს, სიცილი წასკდება.) ნუ მებუტებით, მოდით ჩემთან... ერთი მითხარით, ჩემო კარგო, მაინც როგორ წარმოგიდგენიათ ეს?.. ხომ უნდა მიგეჩვიოთ ჯერ?

დიმშიცი. მე შტიბლეტი არ ვარ, რომ მიმეჩვიონ.

ლუდმილა. არ დაგიმალავთ, ერთგვარ სიმპათიას ვგრძნობ თქვენდამი, მაგრამ ეს გრძნობა უნდა გაამყაროთ... ჩამოვა მაშა არმიიდან, თქვენ თავს წარვუდგენთ: უიმისოდ ჩვენს ოჯახში ვერაფერს ვწყვეტთ... მამას კი ესიმპათიურებით, მაგრამ უმწეოა, თავადაც ხედავთ... თანაც ბევრი რამ გასარკვევია; თქვენი მეუღლე?..

დიმშიცი. რა შუაშია ჩემი მეუღლე?

ლუდმილა. მე ხომ ვიცი, რომ ებრაელები გიჟდებიან შვილებზე...

დიმშიცი. სალაპარაკო შემოგველია; ღმერთმანი, სალაპარაკო შემოგველია.

[4] პირველი გატაცება, ჩვეულებრივ, გვიბრუნდება ხოლმე, თავადო (ფრანგ.).

[5] მადმუაზელ ბუტურლინა — წარსულია (ფრანგ.).

ლუდმილა. ამიტომაც ჯერჯერობით წყნარად უნდა იჯდეთ ჩემ გვერდით, აღიჭურვოთ მოთმინებით.

დიმშიცი. მას შემდეგ, რაც ებრაელები მესიას ელიან, მოთმინებით არიან აღჭურვილი. ერთიც დალიეთ...

ლუდმილა. ისედაც ზედმეტი მომივიდა...

დიმშიცი. ეს ღვინო ჯაეშნოსანიდან მომივიდა. დიდ თავადს იქ კასრით ჰქონია...

ლუდმილა. როგორ შოულობთ ამისთანა რამეებს?

დიმშიცი. თქვენ ხილი იხილეთ... დალიეთ ერთიც.

ლუდმილა. თუ წყნარად ვისხდებით...

დიმშიცი. წყნარად სინაგოგაში სხედან.

ლუდმილა. ჰოდა, თქვენც სასინაგოგედ ხართ გამოწყობილი, სერთუკი ჩაგიცვამთ. სერთუკი, ისააკუნი, გიმნაზიის დირექტორებს ეცვათ ხოლმე გამოშვების ზეიმზე და ვაჭრებს კიდევ ქელეხებში.

დიმშიცი. შეგვიძლია ახლავე გავიხადოთ!

ლუდმილა. ნურც პირველ რიგს აიღებთ ხოლმე, ჩემო კარგო, თეატრებში იქ მატრაკვეცა პუბლიკა ზის, გოიმები...

დიმშიცი. მეც გოიმი ვარ.

ლუდმილა. თქვენ სხვა ხართ — შინაგანად კეთილშობილი. თქვენ სახელიც კი სხვა უნდა გერქვათ... რა უნდა მაგის გადაკეთებას, მიეცით ბარელამ განცხადება გაზეთში... მე ალექსის დაგიძახებდით, მოგწონთ — ალექსი?

დიმშიცი. ძალიან. (აქრობს შუქს და ისევ დაეძგერება მუკოვნინას.)

ევსტიგნეიჩი. წავიდა ჭიდაობა...

ფილიპე. (მიაყურადებს). გადააყენა ვგონებ..

ბიშონკოვი. მე ლუდმილა ნიკოლაევნა ყველას მირჩევნია, სხვებივით უსალმო ქალი კი არაა... აქაც რომ დადიან ზოგიერთები, ტყეში რომ დააბა, თოკს წაიღებენ და იმათ ხელს არავინ ახლებს... ბედაური ქალია...

ინვალიდების ოთახში ვისკოვსკი შემოდის, ევსტიგნეიჩის უკან დადგება და კარტის თამაშს უყურებს.

ლუდმილა. (გამოუსხლტება). მეეტლეს უხმეთ!

დიმშიცი. როგორც მეტყვით... მეტი საქმე არა მაქვს!

ლუდმილა. ახლავე დაუძახეთ!

დიმშიცი. ოცდაათი გრადუსია გარეთ, ძაღლი არ გაიგდება....

ლუდმილა. ყველაფერი შემომახიეთ, რა ვთქვა სახლში?

დიმშიცი. რაც მთავარია, ის მთელი გაქვთ...

ლუდმილა. სულ ნუ გაუხამსდებით... ისააკ მარკოვიჩ, თქვენ მისამართი შეგეშალათ...

დიმშიცი. რას იზამთ, ჩემი იღბალიც ეგ არის....

ლუდმილა. გეუბნებით, კბილი ამტკივდა, საშინლად მტეხს...

დიმშიცი. საიდან სადაო... რა მეკბილება ეხლა...

ლუდმილა. კბილის წვეთები მიშოვეთ, თორემ გავგიჟდები...

დიმშიცი გამოდის მეორე ოთახში, ვისკოვსკის შეეჩეხება.

ვისკოვსკი. გაამოთ, მოძღვარო!

დიმშიცი. ქალბატონს კბილები ასტკივდა...

ვისკოვსკი. რას იზამ, ხდება ხოლმე.

დიმშიცი. ისიც ხდება, რომ აიტკივებენ ხოლმე...

ვისკოვსკი. სიაფანდია, ისააკ მარკოვიჩ, ფაიზალი სიაფანდი.

ფილიპე. იგონებს, ისააკ მარკოვიჩ, კბილი არა, ტოროლა.

ლუდმილა. (თმები გაისწორა სარკის წინ, აშოლტილი, მხიარული, აწითლებული დაიარება ოთახში და ღიღინებს).

ჩემი გიჟი, მაღალი და კოხტა
ჩემი გიჟი, ალერსა და ბოლმა..

დიმშიცი. მე ბავშვი აღარა ვარ, ევგენი ალექსანდროვიჩ, დამავიწყდა კიდეც, როდის ვიყავი ბავშვი...

ვისკოვსკი. გისმენთ, მაესტრო!

ლუდმილა. (მიდის ტელეფონთან, იღებს ყურმილს). 3-75-02. მამიკო, შენა ხარ?.. მე ძალიან კარგად... ნადია იოჰანსონი იყო თეატრში ქმრით. ვახშმად ვარ ისააკ მარკოვიჩთან. უნდა ნახო სპესივცევა, მეორე პავლოვაა... წამალი თუ დალიე? მამიკო, გეხვეწები დაწექი... ო, რომ იცოდე, რა ჭკვიანი ქალიშვილი გყავს, რას არ მოიგონებს... კატიუშა, ეს შენა ხარ? ვასრულებ, ქალბატონო, თქვენს ბრძანებას. Le menege continue j'ai mal

aux dents se soir[6]. (ოთახში დადის, ღიღინებს, თმას მოიბოშებს).

დ ი მ შ ი ც ი. იმდენს იხტუნებს, რომ სხვა დროს შინ არ ვბრძანდებოდე, იქნება — მაგისთვის...

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. ნება თქვენია.

დ ი მ შ ი ც ი. იმიტომ, რომ ჩემი ცოლის და ჩემი ბავშვების ამბავს მაგას არავინ ეკითხება...

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. გისმენთ...

დ ი მ შ ი ც ი. ჩემი ცოლის ფეხის ნაბან წყლად არ ღირან ზოგ-ზოგები, ფეხის ნაბან წყლად — თუ მართალი გნებავთ იცოდეთ.

## მ ე ო თ ხ ე ს უ რ ა თ ი

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი ს თ ა ნ. მასპინძელი გალიფეშია, ჩექმებში, კურტაკი აღარ აცვია, საყელო გაჰღეღია. მაგიდაზე ბოთლების ტყეა, ბლომად დაულევიათ. ტახტზე სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ტანმოკლე და აჭარხლებული კ რ ა ვ ჩ ე ნ კ ო გადათხლაშულა, გვერდით მადამ დ ო რ ა მისჯდომია, — თხელი, შავოსანი დიაცი, თმებში მაღალი ესპანური სავარცხლითა და მოწკრიალე საყურეებით.

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. ერთხელაც იქნება დამეცემა ტუზი, იაშკა...

კ რ ა ვ ჩ ე ნ კ ო. მაინც რამდენზე ხარ ყაბულს?

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. ათი ათასი ფუნტი... ერთხელაც იქნება დამეცემა ტუზი... გინახავს ოდესმე ფუტი სტერლინგი, იაშკა?

კ რ ა ვ ჩ ე ნ კ ო. და ძაფებიდან აპირებ ამდენის გამიდნობას?

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. ძაფები ჩაიშალა... ბრილიანტებზე ვმუშაობთ... სამკარატიანები, კამკამა, მოლურჯო წყლის, ქვიშა რომ არ ურევია. სხვანაირი პარიზში არ საღდება.

კ რ ა ვ ჩ ე ნ კ ო. სადღაა მაგისთანები.

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. შენ ალება თქვი, თორემ ბრილიანტები ყველა სახლშია; რიმსკი-კორსაკოვებს აქვთ, შახოვსკებს... ღვთის მადლით, ჯერ კიდევ მოიძევება ალმასები საიმპერატორო სანკტ-პეტერბურგში.

კ რ ა ვ ჩ ე ნ კ ო. შენგან წითელი ვაჭარი არ დადგება, ევგენი ალექსანდროვიჩ...

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. დადგება და მერე როგორი... მამაჩემი იყო და ისიც ვაჭრობდა, — მამულებს კვიცებზე სცვლიდა... გვარდია ნებდება, ამხანაგო კრავჩენკო, მაგრამ არ კვდება....

კ რ ა ვ ჩ ე ნ კ ო. მუკოვნინასთვის დაგეძახა მაინც, გაიტანჯა ქალი დერეფანში...

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. პარიზში, იაშკა, ბატონივით უნდა ჩავიდე...

კ რ ა ვ ჩ ე ნ კ ო. ის დიმშიციც სად ჯანდაბაში გადაიკარგა.

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. საპირფარეშოშია ჩაკეტილი ან კარტს თამაშობს თავის მასტებთან... (კარს გამოაღებს) გვიკადრეთ, ქალბატონო... (გადის დერეფანში).

დ ო რ ა. (კრავჩენკოს ხელებს უკოცნის). მზე ხარ ჩემი! ჩემი ღვთაება!

შემოდიან ქურქიანი ლ უ დ მ ი ლ ა და ვ ი ს კ ო ვ ს კ ი

ლ უ დ მ ი ლ ა. წარმოუდგენელია, დათქმული გვქონდა...

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. პირი პირია და არა ქვაბის ძირი, ხომ?

ლ უ დ მ ი ლ ა. დათქმული გვქონდა, რომ რვაზე მოვიდოდი. ახლა ათი სრულდება... არც გასაღები დაუტოვებია... სად უნდა წასულიყო?

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. მიყიდ-მოყიდის რამერუმეებს და მოვა...

ლ უ დ მ ი ლ ა. არა, ამ ხალხს ნამდვილად აკლია ჯენტლმენობა...

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. დაგელიათ რამე, ოქრო!

ლ უ დ მ ი ლ ა. ცოტას მართლაც დავლევდი, გავიყინე... წარმოუდგენელი ამბავია!

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ქალბატონი დორა, საფრანგეთის რესპუბლიკის მოქალაქე Liberté, Egalite, Fraternite[7]. სხვა უამრავ ღირსებებთან ერთად საზღვარგარეთული პასპორტიცა აქვს...

ლ უ დ მ ი ლ ა. (ხელს უწვდის). მუკოვნინა.

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. იაშკა კრავჩენკოს თქვენ უკვე იცნობთ: ომის დროინდელი პრაპორშჩიკი, ამჟამად — წითელი არტილერისტი. კრონშტატის სიმაგრეში ათდიუმიან ზარბაზნებთან დგას და შეუძლია ლულა ნებისმიერ მხარეს მიატრიალოს...

კ რ ა ვ ჩ ე ნ კ ო. ევგენი ალექსანდროვიჩი დღეს ფორმაშია...

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. ნებისმიერ მხარეს... ყველაფერი შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს, იაშკა. გიბრძანებენ ის ქუჩა დაანგრიო, საცა დაიბადე — შენ დაანგრევ, ბავშვთა თავშესაფარი დაბომბო — იტყვი: „ლულა ორი ნოლი რვა“ და დაბომბავ ბავშვთა თავშესაფარს. შენ ამას იზამ, იაშკა, ოღონდ არსებობის საშუალება მოგცენ, გიტარა გაუღრიალებინონ და თხელ ქალებთან გაცხოვრონ. სქელი ხარ და თხელები გევასება... ყველაფრის მკისრებელი ხარ და რომ გითხრან, სამგზის უარყავი მშობელი დედაო, უარყოფ, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, იაშკა, ეს შაქარია იმასთან, მერე და მერე რომ მოგთხოვენ: არაეს რომ არ გასმევენ, ვისთანაც გაგიხარდება, მოსაწყენ წიგნებს რომ წაგაკითხებენ, მოსაწყენ სიმღერებს რომ გასწავლიან და მხიარულად გამღერებენ... აი, მაშინ კი გამწარდები, წითელო არტილერისტო, გაცეცხლდები, საეჭვოდ დაიწყებ თვალების ცეცებას... ორი მოქალაქე დაგიკაკუნებს: „წამობრძანდით, ამხანაგო კრავჩენკო...“ — „წამოვიღო რამე, —, იკითხავ შენ, — თუ არა“, „ნურაფერს წამოიღებთ, ამხანაგო კრავჩენკო, წუთის საქმეა, დაგკითხავენ და მორჩა“... და მოგეხაზება კიდეც, წითელო არტილერისტო... ფულად ეს დაჯდება ოთხი კაპიკი — გამოანგარიშებულია, რომ კოლტის ტყვია ზუსტად ოთხი კაპიკი ღირს. მეტი არც ერთი სანტიმი...

დ ო რ ა. ჟაკ, შინ წამიყვანეთ...

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. იაკობ, შენ გაგიმარჯოს! ძლევამოსილ საფრანგეთს გაუმარჯოს, მადამ დორა!

ლ უ დ მ ი ლ ა. (მას წამდაუწუმ უვსებენ სასმისს). წავალ, ვნახავ, იქნებ მოვიდა...

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. მიყიდ-მოყიდის რამერუმეებს და მოვა... ის სიაფანდი თავად მოიგონეთ, ქალბატონო, კბილი მტკივაო?

ლ უ დ მ ი ლ ა. დიახაც... რაო, მოგეწონათ? (იცინის.) ახლა სხვანაირად არ შეიძლება, ხომ მართალია? ებრაელებმა კეთილი უნდა ინებონ და პატივი სცენ ქალს, თუ მასთან სიახლოვე სურთ...

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. გიყურებ, ლიუკა, და... კატას გავხართ. ერთიც დავლიოთ, ფისო.

ლ უ დ მ ი ლ ა. ახლა მე მომდგა... ვისკოვსკი, თქვენ რაღაცა ჩაურიეთ ამ მთხლეში.

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. ფისო... მუკოვნინების მთელი ჯანი მარიაზე დაიხარჯა, თქვენზე ნარჩენი მასალა წავიდა...

ლ უ დ მ ი ლ ა. არ ჩაგეთვალათ, ვისკოვსკი...

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. არც შენი პატარა მკერდები არ მევასება... ქალს დიდრონი ძუძუები უნდა ჰქონდეს, ლამაზი, ქვემოთ ჩამოძაგრული...

კ რ ა ვ ჩ ე ნ კ ო. ჩვენ წავედით, ევგენი ალექსანდროვიჩ!

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. არსადაც არ წახვალთ... ფისო, წამომყევი ცოლად.

ლ უ დ მ ი ლ ა. ნურას უკაცრავად, ჩვენ ისევ დიმშიცი გვირჩევნია... ვიცით, როგორია თქვენზე გათხოვება: დღეს გაილეშებით, ხვალ ნაბახუსევი ბრძანდებით, მერე სადღაც გადაიკარგებით, მერე სროლას ატეხთ... არა, ჩვენ ისევ დიმშიცი გვირჩევნია...

კ რ ა ვ ჩ ე ნ კ ო. ჰქენი სიკეთე და გაგვიშვი, ევგენი ალექსანდროვიჩ!

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. არსადაც არ წახვალთ. ერთი სადღეგრძელოც... ქალს გაუმარჯოს! (დორას) ეს ლიუკაა... ამის დას მარია ჰქვია.

კ რ ა ვ ჩ ე ნ კ ო. ასე გავიგე, მარია ნიკოლაევნა ჯარშიაო...

ლ უ დ მ ი ლ ა. ახლა უკვე საზღვართან არის.

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. ფრონტზეა, ფრონტზე, კრავჩენკო. დივიზიის მეთაურად იქ ლაქია ჰყავთ...

ლ უ დ მ ი ლ ა. ცრუობთ, ვისკოვსკი, — მჭედელი.

ვ ი ს კ ო ვ ს კ ი. ლაქიას აკიმი ჰქვია... ქალებს გაუმარჯოთ, მადამ დორა! ქალებს უყვართ პრაპორშჩიკები, საბაჟოს მოხელეები, ჩინელები... მათი საქმეც ეგ არის, ღმერთს ამისთვის გაუჩენია. (სასმისს ასწევს.) „იმ ქალებისა, ტურფა ქალების, ვისაც ვუყვარდით თუნდაც წამიერ“... თუმცა რა, წამიც არ ყოფილა. რაღაც შემომებლარდნა, მერე... მერე — ცივი წყალი... ამის დას მარია ჰქვია... წარმოიდგინე, იაშკა, რომ შეგიყვარდა დედოფალი. „საძაგელი ხართ, — გეუბნებათ იგი, — მომწყდით თავიდან“.

[6] მანეჟი გრძელდება, ამ საღამოს კბილები მტკივა (ფრანგ.).
[7] თავისუფლება, ერთობა, ძმობა (ფრანგ.).

ლუდმილა. (იცინის) მეცნო მაშა...

ვისკოვსკი. „საძაგელი ხართ, მომწყდით თავიდან“. ცხენოსანი გვარდია დაიწუნეს, მაშინ გადაწყდა ფურშტადტის ქუჩაზე მისვლა, თექვსმეტ ნომერში...

ლუდმილა. არ გაბედოთ, ვისკოვსკი!

ვისკოვსკი. კრონშტადტის არტილერიას გაუმარჯოს, იაშა! გადაწყდა ფურშტადტზე მისვლა-მეთქი... მარია ნიკოლაევნა შინიდან ნაცრისფერ კაბაში tailleur. ტროიცკის ხიდთან ია-იები იყიდა და გულზე მიიბნია... თავადმა — ვიოლონჩელზე რომ უკრავს — თავისი მარტოხელა ოთახი მიალაგ-მოალაგა, კარადის ქვეშ შეკუჭა წვირიანი საცვლები, ანტრესოლზე შეაწყო გასარეცხი თეფშები... ფურშტადტის ქუჩაზე ყავა დაადგეს და petits fours[8] გამოაცხვეს; ყავა შეისვა. მან თან მოიტანა გაზაფხული, იები და მაღალი ფეხები ტახტზე აიკეცა. თავადმა შალი წააფარა ქალის ძლიერ, ნაზ წვივებს... მას ულიმოდნენ; მორჩილად, სევდიანად და გამამხნევებლად ულიმოდნენ... თბილი მკლავები შემოეჭდო თავადის შეჭაღარავებულ თავს: „თავადო! რა გემართებათ, თავადო?“ მაგრამ ჩვენს თავადს პაპის მგალობელივით წკრიალა ხმა არ აღმოაჩნდა! Passe, rien ne va plus[9].

ლუდმილა. ღმერთო ჩემო, რა ბოღმა ხართ...

ვისკოვსკი. იაშა, წარმოიდგინე — შენ თვალწინ დედოფალი იხდის წინდებს, ლიფს, პანტალონებს... შეიძლება შენც გაფუჭებულიყავი.

ლუდმილა ნიკოლაევნა ყელს გადაიგდებს, ხარხარებს.

იგი წავიდა ფურშტადტიდან, თექვსმეტი ნომრიდან... სად არის, მაჩვენეთ, უნდა ვემთხვიო მის ნაფეხურებს... მისი ნაფეხურები მაჩვენეთ... მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ აკიმი ბანს გოდრით დგამს... რას იტყვით ამაზე, ლუდმილა ნიკოლაევნა?

ლუდმილა. ვისკოვსკი, ამ არაყში თქვენ რაღაც გაურიეთ... თავბრუ მესხმის...

ვისკოვსკი. მოდი ჩემთან, ფისო! (მხრებში ხელს დაავლებს და ძალით მიიზიდავს თავისკენ.) რა მოგცა დიმშიცმა ბეჭედში?

ლუდმილა. რას როშავთ?

ვისკოვსკი. ბეჭედი შენი დისაა. შენ სხვისი ბეჭედი გაყიდე!

ლუდმილა. ხელი გამიშვით!

ვისკოვსკი. (გვერდით ოთახში შეაგდებს). აქ შედი, ფისო!..

ოთახში დორა და კრავჩენკო დარჩებიან. ფანჯრიდან პროჟექტორის მქრქალი შუქი შემოცოცდება. აწეწილი, თვალებგადმოქაჩული დორა კრავჩენკოს ეტმასნება, უკოცნის ხელებს, კვნესის, ლუღლუღებს. ფეხისწვერებზე შემოდის ფეხშიშველა დამდუღრულსახიანი ფილიპე, აუჩქარებლად, ჩუმად ალაგებს სუფრიდან ღვინოს, ძეხვს, პურს.

ფილიპე. გლახა სუნი უდის ამ საქმეს, იაკოვ ივანოვიჩ!

კრავჩენკო თავს უქნევს, ინვალიდი ფეხაკრეფით გადის.

დორა. მზე ხარ, ღმერთი ხარ ჩემი, ჩემი ყველაფერი ხარ!

კრავჩენკო გაჩუმებულია, მიყურადებული. შემოდის ვისკოვსკი, პაპიროსს უკიდებს, ხელები უცახცახებს.

გვერდით ოთახის კარი ღიაა. დივანში ჩამხობილი მუკოვნინა ქვითინებს.

ვისკოვსკი. დამშვიდდით, ლუდმილა ნიკოლაევნა, ქორწილამდე მოგიშუშდებათ...

დორა. უაკ, ჩვენი ოთახი მინდა, შინ წამიყვანეთ, უაკ...

ვისკოვსკი. საყოვლადწმინდო, მეგობრებო?

კრავჩენკო. მოიცა, დორა!

ვისკოვსკი. საყოვლადწმინდო — ქალებს გაუმარჯოს...

კრავჩენკო. შეგეშალა, როტმისტრო!

ვისკოვსკი. ქალებს გაუმარჯოს, იაკოვ ივანოვიჩ!

კრავჩენკო. შეგეშალა, როტმისტრო!

ვისკოვსკი. მაინც რა შემეშალა?

კრავჩენკო. ტრიპერიანები ქალთან არ წვებიან, ბატონო ვისკოვსკი!

ვისკოვსკი. (ოფიცრულად დასჭექს). რა ბრძანეთ?

პაუზა. ქვითინი მიყუჩდა.

კრავჩენკო. გაგიმეორებთ — გონორეით დაავადებულნი...

ვისკოვსკი. სათვალეები მოიხსენით, კრავჩენკო! უნდა [illegible]ტყათ...

კრავჩენკომ რევოლვერი დააძრო.

ჩინებულია.

კრავჩენკომ გაისროლა. ფარდა. ფარდის უკან — სროლის ხმა, დაცემულ სხეულთა ბაგუნი, კივილი.

## მეხუთე სურათი

მუკოვნინების ოთახი. ზანდუკზე მოხუც გადიას მოუკალათებია და სძინავს. მაგიდას ლამპის შუქი ეცემა. კატია წერილს უკითხავს მუკოვნინს.

კატია. „...ალიონზე ესკადრონის საყვირი მაღვიძებს. რვაზე უკვე პოლიტნაწილში უნდა ვიყო, იქ ყველაფერი ჩემზეა... ვასწორებ საგაზეთო სტატიებს, ლიკბეზის სკოლაშიც ვასწავლი. შევსება მოგვივიდა — უკრაინელებია, ენითა და პლასტიკით იტალიელები გეგონებათ. ჩინოვნიკური რუსეთი მთელი საუკუნე სთელავდა და მასხრად იგდება მათ კულტურას... ჩვენს პეტერბურგში, ერმიტაჟისა და ზამთრის სასახლის წინ დაბუდრულებმა ისე ვიცოდით ჩვენი ხალხი, ისე გვესმოდა მისი, გინდაც პოლინეზიაში გვეცხოვროს... გუშინ გაკვეთილზე შენი წიგნიდან, მამა, თავი წავიკითხე — პავლეს მკვლელობა. იმპერატორი რომ მისაკლავი იყო, ეჭვიც არავის შეჰპარვია, სხვა რასმე მეკითხებოდნენ — უბირი ხალხის პრაქტიკული ჭკუა ამაშიცა ჩანს: პოლკი სად იდგაო, ოთახები როგორ არის სასახლეში განლაგებული, გვარდიის რომელი ასეული ყარაულობდა იმ დღეს, შეთქმულები რა ხალხი იყვნენ, რით ვერ აამაო მათ პავლემ. ერთი სული მაქვს ზაფხულში მამას ჩამოსვლამდე, თუ პოლონელებმა თავი არ წამოყვეს. შენ აქ სხვა არმიას ნახავ, მამილო, სხვა ყაზარმას. ეს და ის, შენ რომ აღწერ, ერთმანეთთან ცა და მიწაა... იმ დროისათვის ირგვლივ ყოველი ამწვანდება და აბიბინდება, ცხენები ლორთქო ბალახით მოსუქდებიან, უნაგირებიც მზად გვექნება... აკიმ ივანიჩს უკვე მოველაპარაკე, თანახმაა, ოღონდ მანდ იყოს მშვიდობა, ჩემო ძვირფასებო... ახლა ღამეა, გვიანამდი ვერ ავიშვი თავი და ახლახანლა ამოვედი ჩემთან, ოთხასწლიანი გადაცვეთილი საფეხურები ამოვათავე: კოშკში ვცხოვრობ, გუმბათიან დარბაზში, ერთ დროს აქ გრაფ კრასნიცკის თოფხანა ყოფილა. ციხე-დარბაზი კბოდეზე დგას, ფერხთ ლურჯი მდინარე ულივლივებს, ირგვლივ თვალუწვდენელი მინდვრებია, შორეული ტყის ბუნდოვანი კედლით შემოსაზღვრული... ციხის ყოველ სართულზე წალოა გუშაგისათვის: აქედან უთვალთვალებდნენ ისინი თათართა და რუსთა ურდოებს და მეალყეებს ადუღებულ კუპრს ასხამდნენ. ჭედვიგამ, უკანასკნელი კრასნიცკის მოხუცმა მნემ, ვახშამი გამიწყო და ჯურღმულივით შავი და ხახადაფჩენილი ბუხარი დაანთო. დაბლა, პარკში, ადგილზე ტოკავენ, თვლემენ ცხენები. ყუბანელები კოცონს მისხდომიან და ვახშმობენ, ბოლივით იწელება სიმღერა. მუხისა და წაბლის გადახლართულ ტოტებს თოვლი აძევს, ვერცხლისფერი უსწორმასწორო სახურავი გადაჰხურვია თეთრად გადაპენტილ ბილიკებსა და ქანდაკებებს. ისინი ისევ დგანან — შუბის მტყორცნელი ჭაბუკები და შიშველი, გახევებული ღმერთქალები ჩამოშლილი თმებითა და უჩინო თვალებით... ჭედვიგასაც ჩასთვლიმა, თავი ეყანთრება, მუგუზალი ალად იფეთქებს და ჩაიშლება ხოლმე. ბუხრის ჟამგადასული აგურები გურგურებენ და ცეცხლის ალზე ოქროსავით ლაპლაპებენ... გწერთ და ალიოშას სურათი წინ მიდევს, მაგიდაზე... აქ ის ხალხია, ყოველგვარი დაეჭვების გარეშე რომ მოკლეს იგი, ამ ხალხში ვტრიალებ, მათ გასანთავისუფლებლად ვჯახირობ... ვარ თუ არა პირნათელი შენთან, ალექსი, აღვასრულე თუ არა ნება შენი — მეცხოვრა ნაღდი სიცოცხლით... და ის, რაც მოუკვლელია მასში, ის არ უარმყოფს მე... დამათენდა, არ მეძინება — გული ცუდს მიგრძნობს, რაღაცა გიჟირთ, სიზმრებს ვუფრთხი. ძილში ვითომ მომდევენ, მკვდრებში ვტრიალებ. უცნაური ცხოვრებით ვცხოვრობ: ბუნებით აღვსების შვებას ერწყმის თქვენზე დარდი. ლიუკა რად აღარ იწერება? რამდენიმე დღის წინ ცნობა გამოვუგზავნე — აკიმ ივანიჩის ხელმოწერილი, რომ მე, როგორც სამხედრო მოსამსახურეს,

---

[8] ნამცხვარი (ფრანგ.).

[9] მორჩა, ყველაფერი წარსულშია (ფრანგ.).



ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლება არა აქვთ ოთახი ჩამომართვან. მამას ბიბლიოთეკასაც ხელი არ უნდა ახლონ, სადღაც გვქონდა მისი დაცვის სიგელი. თუ ვადა გაუვიდა, უნდა განაახლებინოთ ნარკომპროსში; ჩერნიშოვის ხიდთან არის, მეორმოცე ოთახში. ბედნიერებაა, თუ ლიუკა თავის ოჯახს შექმნის, ოღონდ იმ კაცმა უნდა იაროს ჩვენთან, მამას გაეცნოს — მთავარია, გული რას ეტყვის მამას... გადიამაც ნახოს... კატიუშა სულ გადიაზე ბუზღუნებს, არაფერს აკეთებსო. კატიუშა, გადია მოხუცდა, მუკოვნინების ორი თაობა გამოზარდა, მაგას თავისი აზრები აქვს, თავისი შეხედულებები, არ არის ეგ მარტივი ადამიანი... ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ გადიას თითქმის არაფერი ეცხო მდაბიური, გლეხური — თუმცაღა განა რა ვიცოდით გლეხებზე მაგ ჩვენს პოლინეზიაში? ამბობენ, პეტერბურგში სურსათი კიდევ უფრო გაძვირდა, ვინც არ მუშაობს, ოთახსა და თეთრეულს ართმევენო... მრცხვენია, ჩვენ რომ კარგად ვცხოვრობთ. აკიმ ივანიჩმა ორჯერ წამიყვანა სანადიროდ, ცხენიც მყავს, დონური..." *(კატია თავს ასწევს.)* ხომ ხედავთ, ნიკოლაი ვასილევიჩ, საქმე ჩინებულადაა...

*მუკოვნინი თვალებზე ხელებს აიფარებს.*

რა გატირებსთ!..

მუკოვნინი. ღმერთს ვეკითხები — ყველასა გვყავს ჩვენ-ჩვენი ღმერთი — რისთვის მომმადლე მე, უვარგის, ცოდვილ არსებას, ასეთი შვილები, მაშა და ლიუკა?..

კატია. მერედა ეს ხომ ჩინებულია, ნიკოლაი ვასილევიჩ, რა გვაქვს სატირალი!

## მეექვსე სურათი

*მილიციის სამორიგეო ღამით. მერხის ქვეშ მთვრალი მოკუნტულა; სახესთან ხელი აქვს მიტანილი, თითებს ფშხლიკავს, თავის თავს რაღაცას უმტკიცებს. მერხზე ზონზროხა მოხუცი თვლემს, კარგად აცვია — ენოტის ქურქშია და წოწოლა ქუდი ახურავს, ქურქი გაპღელია და მის შიგნით შიშველი, ნაცრისფერი მკერდი მოუჩანს. ზედამხედველს დაკითხვაზე ჰყავს მუკოვნინა. გაწეწილ ქალს ბეწვის ქუდი გვერდზე მოჰქცევია, ქურქი მხრებიდან აქვს გადაგდებული.*

ზედამხედველი. სახელი?

მუკოვნინა. გამიშვით.

ზედამხედველი. სახელი?

მუკოვნინა. ვარვარა.

ზედამხედველი. მამის სახელი?

მუკოვნინა. ივანეს ასული.

ზედამხედველი. სად მუშაობთ?

მუკოვნინა. ლაფერმის თამბაქოს ქარხანაში.

ზედამხედველი. საბუთი?

მუკოვნინა. თან არ ვატარებ.

ზედამხედველი. რას მატრაბაზობთ?

მუკოვნინა. ქმრიანი ვარ... გამიშვით...

ზედამხედველი. არა, როგორ ატყობთ, თქვენი მატრაბაზობისთვის მცხელა მე? ბრილიოვს როდიდან იცნობთ?

მუკოვნინა. ვისზე ლაპარაკობთ, არც გამიგია...

ზედამხედველი. ძაფების ორდერზე ხელს ბრილიოვი აწერდა, თქვენგან მიდიოდა გუტმანთან, საწყობი სად გქონდათ?

მუკოვნინა. რა ძაფი, რის საწყობი?

ზედამხედველი. ახლავე გაგაგებინებთ... *(მილიციელს.)* შემოიყვანე კალმიკოვა.

*მილიციონერს შემოჰყავს შურა კალმიკოვა, ნევსკის 86-ზე სასტუმროს დამლაგებელი.*

ზედამხედველი. თქვენ სართულის მორიგე ხართ?

კალმიკოვა. დამლაგებელი.

ზედამხედველი. ამ მოქალაქეს იცნობთ?

კალმიკოვა. ვიცნობ და მერე როგორ!

ზედამხედველი. რას გვეტყვით?

კალმიკოვა. შემეკითხეთ და გიპასუხებთ... მამა დიდი კაცი ჰყავს, ღენერალი...

ზედამხედველი. თუ მუშაობს?

კალმიკოვა. დუმებს დაათამაშებს, ესაა მაგის მუშაობა.

ზედამხედველი. ქმარი ჰყავს?

კალმიკოვა. სუყველა მაგის ქმარი არაა? მაგის კბილის ტკივილს ერთი, მაგალითად, მთელი საღამო ფეხსადგილში ემალებოდა!

ზედამხედველი. რა კბილი, რაებსა ბოდავ?

კალმიკოვა. მე და ლუდმილა ნიკოლაევნამ ვიცით, რა კბილიც...

ზედამხედველი. *(მუკოვნინას).* რამდენჯერ ხართ აყვანილი?

ლუდმილა. ავადა ვარ... რაღაც შემყარეს..

ზედამხედველი *(კალმიკოვას).* უნდა ვიცოდეთ, რამდენჯერაა აყვანილი.

კალმიკოვა. ცოდვას ვერ დავიდებ, რაც არ ვიცი, არ ვიცი...

ლუდმილა. გავიტანჯე, შინ გამიშვით...

ზედამხედველი. ხმა, კრინტი. მე მიყურეთ!

ლუდმილა. თავბრუ მესხმის, საცაა წავიქცევი...

ზედამხედველი. მე მიყურეთ!

ლუდმილა. ღმერთო ჩემო, რატომ უნდა გიყუროთ თქვენ?..

ზედამხედველი. *(ცოფებს ჰყრის).* იმიტომ, რომ ხუთი ღამის უძინარი ვარ... შეგიძლიათ ამის დანახვა?

ლუდმილა. შემიძლია...

ზედამხედველი *(მიუახლოვდება, მხრებში ხელს ჩაავლებს და თვალებში ჩასცქერის)* აბა, რამდენჯერ ხართ აყვანილი...

## მეშვიდე სურათი

*მუკოვნინებთან. ბოლავს ჭრაქები. კედლებსა და ჭერზე ჩრდილები დაფარფატებს. ანთებული სანთლის წინ გოლიცინი ლოცულობს. ზანდუკზე გადიას სძინავს.*

გოლიცინი. ...ამინ, ამინ გეტყვი თქვენ: უკეთუ არა მარცვალი იფქლისაი დავარდეს ქვეყანასა ზედა და არა მოკუდეს, იგი მარტოი ხოლო ეგოს; ხოლო უკეთუ მოკუდეს, მრავალი ნაყოფი გამოიღოს. რომელსა უყვარდეს სული თვისი, წარიწყმიდოს იგი; და რომელსა სძულდეს სული თვისი ამას სოფელსა, ცხოვრებად საუკუნოდ დაიმარხოს იგი. უკეთუ ვინმე მე მმსახურებდეს, მე შემომიდეგინ; და სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახური ჩემი იყოს. და უკეთუ ვინმე მე მმსახურებდეს, პატივ-სცეს მას მამამან ჩემმან. აწ სული ჩემი შეძრწუნებულ არს და რაიმე ვთქვა? მამაო, მიხსენ მე ჟამისა ამისაგან. არამედ ამისთვის მოვედ ჟამსა ამას...

კატია *(ჩუმად შემოდის, გოლიცინთან მივა, თავს მხარზე ჩამოადებს).* მე და რედკოს პაემანი შტაბში გვაქვს ხოლმე, სერგეი ილარიონოვიჩ, წინათ იქ მისაღები ყოფილა, იქ გრძელი დივანი დგას... მივალ, რედკო კარს გადარაზავს, მერე კარი იხსნება...

გოლიცინი. ასეა...

კატია. თავადო, მივდივარ ბორისოგლებსკში.

გოლიცინი. წადით...

კატია. რედკო მასწავლის, მუდამ მმოძღვრავს — ვინ შევიყვაროთ, ვინ შევიძულოთ. დიდ რიცხვთა კანონიო — ჩამჩიჩინებს: მე კი თავად მცირე რიცხვი რომ ვარ — ეს არ ითვლება, თავადო?

გოლიცინი. უნდა ითვლებოდეს...

კატია. თქვენს პირს შაქარი — უნდა ითვლებოდეს... თავისუფალი ვარ, გადიავ, თავისუფალი... გაიღვიძე, იწამე ღმერთი, მეორედ მოსვლა გამოგეპარება ძილში...

ნეფედოვნა *(თავს წამოწევს).* ლიუკა სადაა?

კატია. ლიუკა მოვა მალე, გადიავ, მე კი წავალ, მოგშორდები, დაისვენებ ჩემი ბუზღუნისაგან.

ნეფედოვნა. რას მებუზღუნებით მერე; თქვენი ბუზღუნისა რა მცოდნია... მე გამდელი ვარ, ბავშვებისათვის აყვანილი, ისინი უნდა ვზარდო, მაგრამ სადაა... სახლი დედაკაცებით გამოიტენა, ბავშვები კი სანთლით საძებარია... ერთი, ბატონო, საომრად წაბრძანდა, უიმისოდ როგორ იქნებოდა... მეორე სად დაპრაკუწობს, ეშმაკმა იცის... უბავშვო სახლი სახლია?..

კატია. დაგისვამთ, გადიავ, სულიწმიდისაგან...

ნეფედოვნა. ასე ატარტარებთ ენას და საქმე ვერ ვნახე...

გოლიცინი. გაემგზავრეთ ბორისოგლებსკში, საჭირო ხართ იქ. ბორისოგლებსკში უდაბნოა, ეკატერინა ვიაჩესლავნა, მხეცებმა დაჭამეს იქ ერთმანეთი...

ნეფედოვნა. აგერ მილოსტოვებმა — მთლად უბრალო ვაჭრუკანებმა — თავიანთ გამდელს პენცია მოუცოდვილეს, ხუთი თუ-

მანი თვეში... მომიხერხე მეც, თავადო, მე რატო არ მაძლევენ პენციას?

გ ო ლ ი ც ი ნ ი (ღიმილს უკეთებს). მე ვინ მომისმენს, ნეფედოვნა, ახლა მე აღარაფერი შემიძლია.

ნ ე ფ ე დ ო ვ ნ ა. ვაჭრუკანები უძახე შენ იმათ...

კარი იღება. შემოდის ჩამოძონძილი ფ ი ლ ი პ ე, თავ-პირზე ყაბალახი მოუხვევია. მისი უზარმაზარი და უფორმო სხეულის დანახვაზე მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი უკან-უკან იხევს. თექისჩექმებიან ფილიპეს ცალ მხარეს სახის ნაცვლად უმი ხორცის ნაჭერი ადევს.

მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი. ვინა ხართ?

ფ ი ლ ი პ ე (ახლოს მოიწევს). ნაცნობი ლუდმილა ნიკოლაევნასი.

მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი. რა გნებავთ?

ფ ი ლ ი პ ე. გლახა საქმე დაგვემართა, თქვენო აღმატებულებავ.

კ ა ტ ი ა. ისააკ მარკოვიჩისაგან მოდიხართ?

ფ ი ლ ი პ ე. მასე გახლავთ, იქიდან სწორედ... თითქო არაფერზე ატყდა ერთი ვაი-უშველებელი...

კ ა ტ ი ა. ლუდმილა ნიკოლაევნა?..

ფ ი ლ ი პ ე. იქ ბრძანდებოდა, მაგათ კამპანიაში... ზედმეტი მოუვიდათ ცოტა, თქვენო აღმატებულებავ; ევგენი ალექსანდროვიჩმა, ასეაო, იაკოვ ივანიჩმა, მასე კი არა — ისეაო; ორივე, შენ ხარ ჩემი ბატონი — კაი გუნებაზე: დაეჯახნენ ერთმანეთს...

გ ო ლ ი ც ი ნ ი. ნიკოლაი ვასილევიჩ, მე დაველაპარაკები ამ ამხანაგს...

ფ ი ლ ი პ ე. დიდი კი არაფერი მომხდარა, ვერ გაუგესავით ერთმანეთს... ორივე — კაი გუნებაზე, ორივე — დურებით...

მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი. სად არის ჩემი ქალიშვილი?

ფ ი ლ ი პ ე. მაგი აღარ ვიცი, თქვენო აღმატებულობავ!

მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი. სად არის-მეთქი ჩემი ქალიშვილი? ჩემთან არაფრის დამალვა არ არის საჭირო...

ფ ი ლ ი პ ე (ძლივს გასაგონად). ასწიეს...

მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი. სიკვდილისთვის თვალი გამისწორებია. მე ჯარისკაცი ვარ...

ფ ი ლ ი პ ე (ხმამაღლა). ასწიეს, თქვენო აღმატებულებავ.

მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი. დააპატიმრეს? — რისთვის?

ფ ი ლ ი პ ე. რა ვიცი, თითქო ავადმყოფობაზე ატყდა ბაზარი. იაკოვ ივანოვიჩი ეუბნება, „თქვენო, ეუბნება, — ავადმყოფობა აჭკიდეთო“, — ევგენი ალექსანდროვიჩმა დურა დაუძრო. დაძრობა მასე არ უნდაო და იშვლიპა იმანაც. ატყდა ბაზარი...

მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი. ჩემამ წაიყვანა?

ფ ი ლ ი პ ე. გაუგებ რამეს, ვინ წაიყვანა? ახლა ხალხი უფორმოდაა, თქვენო აღმატებულებავ, თავს არ გიჩენენ...

მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი. სმოლნში უნდა წავიდე, კატია.

კ ა ტ ი ა. თქვენ ვერსად ვერ წახვალთ, ნიკოლაი ვასილევიჩ!

მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი. სმოლნში უნდა წავიდე ახლავე...

კ ა ტ ი ა. ნიკოლაი ვასილევიჩ, ძვირფასო...

მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი. საქმე ის არის, კატია, რომ ჩემი ქალიშვილი მე უნდა დამიბრუნონ. (ტელეფონთან მიდის.) სამხედრო ოლქის შტაბთან შემაერთეთ...

კ ა ტ ი ა. არ გინდათ, ნიკოლაი ვასილევიჩ!

მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი. ამხანაგ რედკოს სთხოვეთ... მუკოვნინს სურს თქვენთან დალაპარაკება-თქო. როგორ აგიხსნათ, ამხანაგო, წინათ გენერალ-კვარტირმეისტერი გახლდით მეექვსე არმიისა... თქვენა ხართ, ამხანაგო რედკო? გამარჯობათ, ფიოდორ ნიკიტიჩ! მუკოვნინი გახლავართ... მოგესალმებით. მომიტევეთ, თუ საქმეს მოგწყვიტეთ...

ფიოდორ ნიკიტიჩ, დღეს საღამოს ნევსკის ოთხმოცდაექვსში შეიარაღებულმა პირებმა ჩემი ქალიშვილი ლუდმილა დააპატიმრეს. მე დახმარებას არა გთხოვთ, — ვიცი, რომ თქვენს ორგანიზაციაში ეს მიუღებელია, — მოგახსენებთ მხოლოდ, რომ უნდა ვნახო ჩემი უფროსი ქალიშვილი, მარია ნიკოლაევნა. საქმე ის გახლავთ, ფიოდორ ნიკიტიჩ, რომ ამ ბოლო ხანებში შეუძლოდა ვარ და მარია ნიკოლაევნასთან აუცილებელი მოსათათბირებელი მაქვს. ჩვენ გავუგზავნეთ წერილებიც, ელვაც, ვიცი, რომ კატერინა ვიაჩესლავოვნამ თქვენც შეგაწუხათ — პასუხი არ ჩანს. ფიოდორ ნიკიტიჩ, გთხოვთ პირდაპირი ხაზით დაუკავშირდეთ... დამატებით მოგახსენებთ, რომ მოსკოვში ვარ გამოძახებული გენერალ ბრუსილოვის მიერ სამსახურის თაობაზე მოსალაპარაკებლად... თქვენ ბრძანებთ, რომ უკვე ჩააბარეს?.. რვაში გადასცეს?.. დიდად გმადლობთ, ფიოდორ ნიკიტიჩ, წარმატებებს გისურვებთ. (ყურმილს დადებს.) ყველაფერი რიგზეა, მაშა მოუძებნიათ, დეპეშა რვაში ჩაუბარებიათ. პეტერბურგში ხვალ ჩამოვა, ზეგ მაინც აღარ გადააცილებს. მაშინ ოთახი უნდა მივალაგოთ, ნეფედოვნა, უთენია უნდა ადგე და მიალაგო... მართალია კატუშა, რას ჰგავს აქაურობა. ამ ბოლო ხანებში ყველაფერი თავდაყირაა, მტვერში ვიხრჩობით. აშათ შალითები უნდა გადავაცვათ. გვაქვს, კატიუშა, შალითები?

კ ა ტ ი უ შ ა. გვაქვს; მთელ აჯჯს ვერ გასწვდება, მაგრამ გვაქვს...

მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი (აქეთ-იქით აწყდება). აუცილებლად უნდა გადავაცვათ შალითები... მაშას გაუხარდება, თუ ყველაფერს ძველებურად დავახვედრებთ. რატომ არ უნდა გავაკოხტაოთ აქაურობა, როცა არის ამის საშუალება... აი, კატიაც მოეშვა, აღარც გართობა ეხალისება, აღარც თეატრში სიარული — ასე შეიძლება ჩამორჩეთ კიდეც, კატიუშა...

კ ა ტ ი ა. მაშა ჩამოვიდეს და თეატრში სიარულს მოვესწრები...

მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი (ინვალიდს). მაპატიეთ, გეთაყვა, თქვენი სახელი?

ფ ი ლ ი პ ე. ფილიპ ანდრეევიჩი.

მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი. ფეხზე რად დგახართ, ფილიპ ანდრეევიჩ? მადლობაც კი არ გვითქვამს თავის შეწუხებისათვის. აბა, გავუმასპინძლდეთ ფილიპ ანდრეევიჩს! გადიავ, დატრიალიდ! ფილიპ ანდრეევიჩ, გთხოვთ, შინაურულად, ჩვენი კარი თქვენთვის ღიაა, მობრძანდით ხოლმე. მარია ნიკოლაევნასაც გაგაცნობთ, უეჭველად გაგაცნობთ...

კ ა ტ ი ა. თქვენ უნდა დაისვენოთ, ნიკოლაი ვასილევიჩ, უნდა მიწვეთ...

მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი. რომ იცოდეთ — ლიუკაზე სრულებითაც არ ვწუხვარ. ეს გაკვეთილია მისთვის, სულ ბავშვი ხომ აღარ იქნება, უნდა ჭკუაშიც ჩავარდეს... რომ იცოდეთ, კიდეც მიხარია... (გულზე ხელს იტაცებს, შედგება, სკამზე ჩაიკეცება. კატია მივარდება). დამშვიდდი, კატია, დამშვიდდი...

კ ა ტ ი ა. რა გემართებათ?

მ უ კ ო ვ ნ ი ნ ი. არაფერია, — გული...

კატია და გოლიცინი მხრებში შეუდგებიან, გაჰყავთ.

ფ ი ლ ი პ ე. დაარტყა მაინც...

ნ ე ფ ე დ ო ვ ნ ა (სუფრას უწყობს). შენსობას წაიყვანეს ჩვენი ქალი?

ფ ი ლ ი პ ე. მაშ...

ნ ე ფ ე დ ო ვ ნ ა. წიოკობდა?

ფ ი ლ ი პ ე. ჯერ — გიყვარდეს, მერე დაწყნარდა.

ნ ე ფ ე დ ო ვ ნ ა. აგერ კარტოფილი, კისელს მოგიტან...

ფ ი ლ ი პ ე. გინდ დაიჯერე, გინდ არა, დედი და, სადილად მთელი ქვაბი პილმენი ჩავყარეთ... ეს ბაზარი ატყდა და გავიხედოთ — სადღაა პილმენი, ქვაბიანად აუწევიათ.

ნ ე ფ ე დ ო ვ ნ ა (კარტოფილს დაუდგამს). ომში გაგალამაზეს ასე?

ფ ი ლ ი პ ე. ასე, დედი, მშვიდობიანობის დროს გამალამაზეს, კაი ხნის ამბავია...

ნ ე ფ ე დ ო ვ ნ ა. რაო, ომი თუ იქნებაო?

ფ ი ლ ი პ ე (ჭამს). ომი, შენ ხარ ჩემი ბატონი, იქნება აგვისტოში...

ნ ე ფ ე დ ო ვ ნ ა. პოლონელებთან, ვითომ?

ფ ი ლ ი პ ე. პოლონელებთან.

ნ ე ფ ე დ ო ვ ნ ა. დარჩა რამე კიდევ მისაცემი?

ფ ი ლ ი პ ე. მაგათ, დედი, ძველებურად უნდათ ერთი ზღვიდან ეგერ ჰე, მეორე ზღვამდე იფარფაშონ.

ნ ე ფ ე დ ო ვ ნ ა. მამა უცხონდათ!

შემოდის კ ა ტ ი ა.

კ ა ტ ი ა. ნიკოლაი ვასილიჩი ძალზე ცუდადაა, ექიმს უნდა დავუძახოთ.

ფ ი ლ ი პ ე. ახლა ექიმი არ წამოგყვებათ, ქალბატონო.

კ ა ტ ი ა. კვდება, გადიავ, ცხვირი გაულურჯდა... გულ-ხელი რომ დაუკრიფო, მკვდარია უკვე...

ფ ი ლ ი პ ე. ექიმები ამ დროს ჩაკეტილები არიან, ქალბატონო; ცეცხლი რო შეუნთო, ღამით სახლიდან ვერ გამოდენი.

კ ა ტ ი ა. ჟანგბადი მაინც მოგვეტანა აფთიაქიდან...

ფ ი ლ ი პ ე. მათი აღმატებულება კავშირის წევრი თუა?

კ ა ტ ი ა. არ ვიცი... აქ ჩვენ არავინ არაფერი არ ვიცით...

ფ ი ლ ი პ ე. თუ არაა — არ მოგვცემენ.

მკვეთრი ზარი. კარის გასაღებად ფილიპე გადის, ბრუნდება.

იქ... იქ... მარია ნიკოლაევნა უნდა იყოს...

კატია. მაშა?!

ხელებგაწვდილი წინ გავარდება, ქვითინებს, უცებ შედგება, ხელებს თვალებზე აიფარებს, მერე დაუშვებს. მის წინ წითელარმიელი დგას, 19 წლის მაღალკანჭა ჭაბუკი, ტომარას მოათრევს. გოლიცინიც შემოდის, კარებთან ხვდება.

წითელარმიელი. გამარჯობათ თქვენი!

კატია. ღმერთო ჩემო, მაშა...

წითელარმიელი. მარია ნიკოლაევნამ რაღაც-რაღაცეები გამოგიგზავნათ, აგერ ამაშია...

კატია. თვითონ... თვითონ სად არის... ამოდის?

წითელარმიელი. თვითონ დივიზიაშია, ეხლა ყველანი ადგილზე არიან. ჩასაცმელიც არის — ჩექმები...

კატია. მაშ არ წამოსულა?

წითელარმიელი. იქ გახურებული ომია, ამხანაგებო, ვის გაუგონია...

კატია. დეპეშა უნდა მიეღო ჩვენი, წერილები...

წითელარმიელი. რაც არ უნდა მიეღო — სულერთია. ნაწილები დღეს რომ აქ არიან, ხვალ ეგერ ჰე, ცხრა მთას იქით...

კატია. თქვენ ნახავთ მას?

წითელარმიელი. მაშ... თუ რამე გინდათ, გადავცემ...

კატია. დიახ, იქნებ გადასცეთ... გადაეცით, რომ მამამისი უკანასკნელ დღეშია და გადარჩენის იმედი არა გვაქვს. გადაეცით, რომ კვდებოდა და შენ გეძახოდა-თქო... შენი და ლიუკა აღარ ცხოვრობს-თქო ჩვენთან, დაპატიმრებულია. უთხარით, რომ გამჩენს შევთხოვთ მის ბედნიერებას, გამჩენს შევთხოვთ დაავიწყოს ის დღეები და საათები, რაც უმისოდ აქ გვქონდა...

წითელარმიელი აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, უკან იხევს, თავისი ოთახიდან გამობარბაცდება მუკოვნინი.

თმა ყალყზე უდგას, მზერა მორღვევია, ღიმება.

მუკოვნინი. ხომ ხედავ, მაშა, რაც შენ წახვედი. ავადაც არ გავმხდარვარ, მამაშენი ყოჩაღად არის, მაშა... (წითელარმიელს დაინახავს.) ეს ვინ არის? (ხმამაღლა იმეორებს.) ვინ არის ეს? ვინ არის-მეთქი?... (ეცემა.)

ნეფედოვნა (ჩაიჩოქება მუკოვნინის გვერდით). მიდიხარ, კოლია?... არ ელოდები შენს ბებერ გამდელს?..

მუკოვნინი ხრიალებს. აგონია.

## მერვე სურათი

შუადღე. თვალისმომჭრელი შუქი. ფანჯრიდან ჩანს მზეზე აელვარებული სვეტები ერმიტაჟისა, ზამთრის სასახლის კიდე. მუკოვნინების დაცარიელებული ოთახი. ანდრეი და მისი დრუნჩა შეგირდი კუზმა პარკეტს ხეხენ. აგაშა, ფანჯარაში გადამდგარი, ქაქანებს.

აგაშა. ნიუშკა, დაგაყრუა ჩემმა გამჩენმა, დატლიკა ბავშვმა მთელი კედელი, გამოახილე თვალები, აზიხარ ზედ მაგ თვალებს თუ რა სიკვდილი გემართება... აიყლარწა საჯენზე, ტვინი კი ერთი ფიორი არა აქვს... ტიხონ, ჰე, ტიხონ, რას მოგიფლეშია, მიუგდე ფარდულის კარი! გამარჯობა შენი, ეგოროვნა! ხვიშირი მარილი თუ გაქვს პირველამდე? პირველში უსიკვდილოდ ჩაგასესხებ... მოვა აბა ჩემი გოგო და გამოატანე, თუ ქალი ხარ — პირველამდე... ტიხონ, გეყურება, ტიხონ? ნოვოსელცოვებმა რაო, როდის გადავალთო?

ტიხონის ხმა. გვააქვს რო გადასასვლელიო?

აგაშა. მამა უცხონდათ, ტყავში რომ აღარ ეტეოდნენ, ახლა სანამ საბანი გასწვდებათ, ფეხებიც ისე გასჭიმონ... კვირამდე აცალე და კვირას მე ვიცოდე და მაგენმა. ნიუშკა, შე სასიკვდილე, მიხედე მაგ ბავშვს, გამოიტენა მიწით ცხვირი... ამოათრიე ზემოთ, ჩქარა, ფანჯრებია დასაწმენდი... (შემობრუნდება მუშებისკენ.) აბა, როგორ მიდის საქმეები...

ანდრეი. მიდის და თანაც როგორ, მიჭენაობს...

აგაშა. საქმის რა მოგახსენო და შენ მართლა გაქცევაზე გიჭირავს თვალი... რაა, ეს კიდეები რომ დაგიტოვებიათ?

ანდრეი. რომელი კიდეები?

აგაშა. რომელი და ოთხივე. ან იატაკი რასა ჰგავს, ჟამის ფერი ადევს... ეს ფერი უნდა ჰქონდეს იატაკს?

ანდრეი. ამნაირი მასალით ესეც გასაკვირია...

აგაშა. დროული კაცი რომ ეშმაკობ, ეს ქუინტი რას ისწავლის შენგან... აბა, ფულს თუ არ ჩაითვლი მუყაითად...

ანდრეი. იცი რას გეტყვი, აგრაფინა, მტერს არ ვუსურვებ რევოლუციის შემდეგ პირველად იატაკის მოხეხვას. რევოლუციის შემდეგ, ნათლიდედ, ხომ ხედავ, მტკაველზე დაედო ჭუჭყი, ამას შალაშინით ვერ გადაფხეკ. შენ აგერ თავზე დამყეფ და მე, ნათლიდედ, მედალი მეკუთვნის, რევოლუციის შემდეგ იატაკს რომ გიხეხავ, აბა...

სცენის სიღრმეში გამოჩნდება სუშკინი და შავოსანი კატია.

სუშკინი. მარტო იმიტომ, რომ ავეჯის გიჟი გახლავართ, მარტო იმიტომ, რომ ანტიკისათვის გულგრილად ვერ ჩამივლია — ანტიკისთვის ვსულელდები კაცი — იმიტომ ვყიდულობ მხოლოდ... ჩვენს დროში რასაც ჯიბით ატარებ, კატერინა ვიაჩესლავნა, თორემ, რა დიდი რამე გიყიდია და რა საკუთარი ფეხით წასულხარ ვირის აბანოში... დღეს რომ იყიდი, რომ გიხარია კაცს, ხვალ ვის ატენიდე იქნება...

კატია. ნუ დაივიწყებთ, არისტარხ პეტროვიჩ, რომ აქ არცერთი ნივთი უბრალო არ არის. ეს ავეჯი ასი წლის წინ გამოიწერეს სტროგანოვებმა პარიზიდან...

სუშკინი. ამიტომაც ვიძლევი მილიარდ ორასს...

კატია. ერთი გადაიყვანეთ ეს თქვენი მილიარდი პურზე, რამდენი გამოვა...

სუშკინი. თქვენც პურზე კი ნუ გადაგყავთ, ჩემს სიგიჟეზე გადაიყვანეთ... ამისთანა დროში ვინ იყიდის... ეს ავეჯი ვინმემ მინახოს და ამათ ხომ მეტი არც უნდათ... (კილოს იცვლის.) ყველაფერი გამზადებულია, ბიჭები დაბლა მიცდიან (ჩასძახებს.) აბა, ჯიგრებო, თან თოკებიც წამოიღეთ!...

აგაშა (წინ წამოვა). ვინ ჯიგრები და რა თოკებიო, თუ უკაცრავად არ ვიყო?

სუშკინი. ვისთან მაქვს პატივი...

კატია. ეს ზედამხედველია ჩვენი ეზოსი, არისტარხ პეტროვიჩ!

აგაშა. თუნდაც მეეზოვე, თუ ძალიან გაინტერესებთ...

სუშკინი. აგაშენათ ღმერთმა. აბა, ხელი ხელს ბანსო და ჯერ თქვენ დაგვეხმარეთ ავეჯის ჩაზიდვაში და მერე, თქვენი არ იყოს, ჩვენ დაგეხმარებით...

აგაშა. არ გამოვა თქვენ რომ გინდათ ისე, მოქალაქევ!

სუშკინი. მაინც რა არ გამოვა?

აგაშა. აქ სარდაფებიდან ამოსახლებულებმა უნდა იცხოვრონ...

სუშკინი. ო, ეს ჩვენ, რასაკვირველია, ძალიან გვაინტერესებს...

აგაშა. მერე ის ხალხი დასაწოლ-დასაჯდომს სად იშოვის?

სუშკინი. ეს კი, რაღა დაგიმალოთ და, სრულებითაც არ მაინტერესებს.

კატია. აგაშა, მარია ნიკოლაევნამ გაყიდვა მე მომანდო...

სუშკინი. მოქალაქევ, გამაგებინეთ ერთი, ავეჯი თქვენია?

აგაშა. ჩემი არაა, მაგრამ არც შენია...

სუშკინი. პირველ რიგში უნდა მოგახსენოთ — შენობით ელაპარაკეთ მას, ვისთანაც ზიარი ფეხსადგილით გასარგებლიათ... მეორე რიგში უნდა მოგახსენოთ, მოქალაქევ, რომ თქვენ აუტკივარ თავს აიტკივებთ ახლა, ასე მიგრძნობს გული...

აგაშა. მოიტან ორდერს — გაგატან ავეჯს...

კატია. აგაშა, შენც ხომ იცი, რომ ავეჯი მარია ნიკოლაევნას ეკუთვნის...

აგაშა. მე რაც ვიცოდი, ქალიშვილო, დამავიწყდა უკვე... ხელახლა ვსწავლობ...

სუშკინი. შენ, დედაკაცო, რაღაცას არ წამოეხიო!

აგაშა. ნუ იგინები, თორემ გიფრინე აქედან...

კატია. წავიდეთ, არისტარხ პეტროვიჩ...

სუშკინი. გეკითხება ვინმე, დაგავალა ვინმემ... ვისი ტიკიტომარა ხარ?

აგაშა. ორდერი-მეთქი და გაგატან...

სუშკინი. სხვა ადგილას მოგივლი მე შენ...

აგაშა. აბა, ჰე, მომიარე...

კატია. წამოდით, არისტარხ პეტროვიჩ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს უ შ კ ი ნ ი. მე დავბრუნდები, იცოდე, მაგრამ გლახად დავბრუნდები...

ა გ ა შ ა. ლამაზად არ გამოგივიდათ, ქალიშვილო.

*მიდიან. ანდრეი და კუზმა მორჩნენ მოხეხვას, ალაგებენ თავიანთ ხელსაწყოებს.*

კ უ ზ მ ა. არ ამოაძუებინა კუდი?

ა ნ დ რ ე ი. ქალი კი არა, ქაჯია, ქაჯი.

კ უ ზ მ ა. გენერლის დროსაც ეგეთი იყო?

ა ნ დ რ ე ი. გენერალი როცა გენერლობდა — ძალიან არ გაბედავდა! მოკუნტული დადიოდა მაშინ.

კ უ ზ მ ა. გენერალი უბედური ავი იქნებოდა.

ა ნ დ რ ე ი. გაგიგონია?! მისი ხმა არ გაგვიგია. მიხვიდოდი, ხელს ჩამოგართმევდა, მოგიკითხავდა. ხალხსაც უყვარდა.

კ უ ზ მ ა. რას ჰქვია—უყვარდა? გენერალი და—ხალხს უყვარდა?

ა ნ დ რ ე ი. ბრიყვები რომ ვიყავით — იმას .. ნორმაზე მეტს არ გვაწვალებდა. შეშასაც თვითონ ჩეხდა ხოლმე.

კ უ ზ მ ა. ბებერი იყო?

ა ნ დ რ ე ი. არც მაინცდამაინც.

კ უ ზ მ ა. რამ მოკლა, აბა!

ა ნ დ რ ე ი. სიკვდილმა. მიქელ-გაბრიელს ძალიან არ სცალია შენი კბილების დასათვლელად! მოეწონები და წაგაფრიალებს...

*შემოდიან ა გ ა შ ა, მუშა ს ა ფ ო ნ ო ვ ი — ძვალმსხვილი, ჩუმი ჯეელი, მისი ფეხმძიმე ცოლი ე ლ ე ნ ა, ოციოდე წლის სუსტი, სახენათელი ქალი, ეტყობა, რომ დღედღეზე ელოდება. ყველანი დატვირთულნი არიან ხარახურით, მოათრევენ ტაბურეტებს, ლეიბებს, პრიმუსს.*

მოიცათ, მოიცათ, დავაფენ რამეს...

ა გ ა შ ა. შემოდი, საფონოვ, ნუ ინაზები. ესეც შენი ახალი საბრძანებელი.

ე ლ ე ნ ა. იქნებ რამე სხვა გამოგვიძებნოთ, ამაზე ვარესი...

ა გ ა შ ა. მიეჩვიე აწი კაისაც.

ა ნ დ რ ე ი. მტრისას — კაის მიჩვევა...

ა გ ა შ ა. აქეთ სამზარეულოა, იქით — სააბაზანო, დასაბანად ჩვენ წავიდეთ, ოჯახის თავო, ბარელამ ამოვზიდოთ, რაც დაგვრჩა. შენ დაჯექი, ელენა, ხელს ნურაფერს მოკიდებ — ბავშვი არ გააგდო.

*აგაშა და საფონოვი მიდიან. ანდრეიმ მობოჭა თავისი რამერუმეები, სკამზე ჩამოჯდა.*

ა ნ დ რ ე ი. მოკლედ, ახალსახლობა გვაქვს, ხომ?

ე ლ ე ნ ა. რად გვინდა ამხელა, ცხენი გაჭენდება...

ა ნ დ რ ე ი. როდის ელოდები?

ე ლ ე ნ ა. ხვალ მივდივარ...

ა ნ დ რ ე ი. სასახლეში აპირებ?

ე ლ ე ნ ა. სასახლეში.

ა ნ დ რ ე ი. მაგ სასახლე, ახლა რომ დედისა და შვილისას ეძახიან, დედოფალმა მწყემსს აუგო კაი ხნის წინ, ახლა — დედაკაცები მშობიარობენ.

ე ლ ე ნ ა. ხვალ უნდა წავიდე; შიგადაშიგ ისეთი შიში წამომივლის, ძია ანდრეი...

ა ნ დ რ ე ი. რა გჭირს საშიშარი; დაბადებ, გინდაც გადაგეპურჭყებინოს. ერთს გაგძაგრავს და მერე ისეთი გახდები, თავს ველარ იცნობ.

ე ლ ე ნ ა. შენაო, ძია ანდრეი, ძვლები გაქვსო ვიწრო...

ა ნ დ რ ე ი. ნუ გეშინია, მიაწვებიან მაგ შენს ძვლებს, მისწიმოსწევენ.,. შეხედავ ხანდახან ქალს — წინდის ჩხირი: ალუბლის კურკა რომ გადასცდეს, ცხრა თვის ფეხმძიმეს დაემსგავსება და — არ გამოაგორებს ვაჟკაცს, მაგრამ რანაირს: ჩაფ ღვინოს რომ დალევს და მუშტით ცხენს წააქცევს. ყველაფერს თავისი მუღამი აქვს, მაშ... *(მხრებზე ტომარას მოიგდებს).* გოგო გინდა თუ ბიჭი?

ე ლ ე ნ ა. ჩემთვის სულერთია, ძია ანდრეი.

ა ნ დ რ ე ი. მართალი ხარ, სულერთია... ჩემი მოკლე ჭკუით, ახლა რო ბავშვები მზადდება, კაი ცხოვრებას უნდა მოესწრონ, აბა!.. *(ინსტრუმენტებიც აიღო.)* კუზმა, წავიდეთ აწი... *(ელენას.)* დაბადებ — გინდა გადაგეპურჭყებინოს, ყველაფერს თავისი მუღამი აქვს. აბა ჰე, წავედით, ვაჟკაც!

*მწმენდავები მიდიან. ელენა ფანჯრებს გამოხსნის, ოთახში მზე და ქუჩის ხმაური იღვრება. მუცელგამობერილი ქალი ფრთხილად მიკვანტალობს კედლების გასწვრივ, ხელით ეხება მათ, სხვა ოთახებშიც შეიჭვრეტს, აანთებს და ჩააქრობს ჭაღს. შემოდის უსაშველოდ აჭარხლებული ნიუშა, ახლად შეღერებული გოგო, ვედროთი და ჩვრით — ფანჯრები უნდა დარეცხოს. შედგება რაფაზე, კალთას მუხლზეით აიკრეფს, მზის სხივებში ეხვევა; კამარას შედგმული ქანდაკების დარად დგას იგი გაზაფხულის ცის ფონზე.*

ე ლ ე ნ ა. ახალსახლობაზე ხომ მეწვევი, ნიუშა?

ნ ი უ შ ა *(ბოხი ხმით).* რატომაც არა, თუ დამპატიჟებ.,. სასმელიც გექნება?

ე ლ ე ნ ა. რაღაც-რაღაცეები მექნება... შენ მაინც რა უფრო გინდა?

ნ ი უ შ ა. მე ტკბილი მინდა, წითელი... *(მოულოდნელად და გამყინავად ამღერდება.)*

ცხენს მიაჭენებს მანჯურიაში,  
კაზაკს ბეჭედი უბრწყინავს ხელზე,  
სატრფომ ლამაზმა მიუძღვნა იგი  
ლაშქრობის წინ და პირობაც მისცა —  
გელი, წლისთავზე ვიქნები შენი...  
გავიდა წელიც...

ფ ა რ დ ა

თარგმნა თამაზ კვაჭანტირაძემ.